პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ხ. ხ. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველი პრ. № 26,
ტელეფონი 5-43.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 4.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

— გერმანია ხელს იღებს პასიურ წინააღმდეგობაზე.

— გერმანიის პრესა უკმაყოფილოა პუანკარეს სიტყვით და მოითხოვს დაფასებულ იქნას გერმანიის ლოიალობა.

— მუსოლინის შეუძლებლად მიაჩნია იტალიის მხრივ კიდევ რაიმეს დათმობა ფიუმეს საკითხში.

— იტალიის ჯარი სტოვებს კუნძულ კორფუს.

— ამხ. ჩიჩერინმა ნოტით მიმართა საფრანგეთის [illegible] მების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 215 ოთხშაბათი 19 სექტემბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 250.000 მან. № 215

ყველა კონტრაგენტებს, კიოსკების
გამგეებს
და გაზ. „კომუნისტის", „მუშის", „მიწის მუშის" და „Рабочая правда"-ს და „ნიანგისა" კერძო ხელის მომწერთ.

1 ოქტომბრიდან საბჭოთა და პარტიულ გამომცემლობის ცენტრალური ექსპედიცია უქმდება.

მის მაგივრად დაარსდა: „ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია", რომელიც მოთავსებულია რუსთველის პროსპ., № 24 ე. ი. ისევ ძველი ექსპედიციის ბინაზე.

ახალი ექსპედიციის გამგეობა გაცნობებთ, რომ პირველ ოქტომბრიდან ყოველივე ანგარიშები და სხვა საქმეებზე დამოკიდებულება გექნებათ პირდაპირ ახალ გამგეობასთან.

გამგეობის თავმჯდომარე: ყურულაშვილი.

ექსპედიციის გამგე: ჩეჩელაშვილი.

20 სექტემბერს
ბაქოს 26 კომუნარის
დალუპვის 5 წლის თავზე
გაიმართება
მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს

საზეიმო სხდომა

სხდომაზე მოწვეული არიან ყველა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები, ადგილკომები, კავშირთა გამგეობის წევრები და არმიის წარმომადგენლები.

სხდომა გაიმართება სახელმწიფო ოპერის თეატრში, საღამოს 6 საათ.

აღმასკომის პრეზიდიუმი
საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი.
საქართ. პროფკავშირთა საბჭო.

მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა საყურადღებოთ

ამხანაგებს, რომელთაც სურთ შევიდნენ
მუშათა ფაკულტეტის
რუსულ ან ქართულ განყოფილებაზე, შეუძლიათ შეიტანონ განცხადება თავიანთ კავშირებში და ტფილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგ. განყოფილებაში.

განცხადებათა მიღება გაგრძელებულია 20 სექტემბრამდე.

მუშათა ფაკულტეტთან იხსნება მოსამზადებელი განყოფილება.

სამანდატო კომისიის წევრი მ. ეხსენი.

რუსეთის მენშევიზმი

ეჭვი არ არის, რომ რუსეთის მენშევიზმი თავისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში იმყოფება. ფაქტიურად რუსეთის მენშევიკური პარტია კარგა ხანია რაც გამქრალია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელიდან. ამ პარტიის მრავალი ყოფილი წევრი, პროლეტარული ელემენტი სამოქალაქო ომის დროს და შემდეგ წლებში გადავიდა კომუნისტურ პარტიაში, ან თანამშრომლობს მასთან საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად. ზოგიერთებმა კიდევ ხელი აიღეს ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობაზე და უბრალო „ობივატელის" როლი არჩიეს. ვიმეორებთ მენშევიკური პარტია და მისი ორგანიზაციები რუსეთში დაიშალნენ. მხოლოდ მათი ზედაწრეები, ერთი მუჭა გაუსწორებელი ინტელიგენტები ისევ განაგრძობენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სახელით „მოღვაწეობას", „გამოსვლებს" და ლაპარაკს, სადაც ხმა მიუწვდებათ. თუგინდ გავიხსენოთ მათი გამოსვლა ესერების ცნობილი პროცესის დროს და მათთვის სოლიდარობის გამოცხადება, მოვიგონოთ ბ. აბრამოვიჩის გამოსვლა ჰამბურგის კონგრესზე და მისი გალაშქრება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, გალაშქრება, რომელმაც ყვითელი ინტერნაციონალის ყრილობის უმრავლესობაც კი ჩააგდო უხერხულ მდგომარეობაში.

რუსეთის ყოფილ მენშევიკებს, როგორც ეს მოიმოქმედეს საქართველოს ყოფილ მენშევიკებმა, განზრახვა აქვთ ახლო მომავალში მოიწვიონ პარტიის სალიკვიდაციო ყრილობა და ფორმალურადაც გაიმიჯნონ იმ თითო-ოროლა „სამოზვანცებისაგან", რომელნიც ყალბი მანდატებით აღჭურვილნი და საერთაშორისო მენშევიზმის კალთას შეფარებულნი, დღესაც ეწევიან „მაღალ" პოლიტიკას.

აი, ყოფილ მენშევიკურ მასის მიერ თავიანთი ძველი „ლიდერებისათვის" ამ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მოლოდინში ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით—ახმაურდნენ.

უკანასკნელი თვეების №№ ბერლინში გამომავალ „სოციალისტური უწყებისა", რომელიც არის „ცენტრალური ორგანო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა",—სავსეა წერილებით, რომლებშიც განსვენებული ლ. მარტოვის „მემკვიდრენი" რუსეთის მენშევიკური მასის კლასობრივ გამოფხიზლების და მისი რიგების დაშლის პროცესს ხსნიან მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს რეპრესიებით, რომელთა შესახებ ათასნაირ ჭორებს ავრცელებენ. ბერლინში მოკალათებული მენშევიკ-ლიტერატორები მოვლენათა ასახსნელად მიმართავენ იმავე მეთოდს, როგორც საქართველოს მენშევიკები. მათ არც მოეთხოვებათ უფრო მეტი ნიჭი და ორიგინალობა. ყველა ამ ზღაპრებს და ლეგენდებს „ჩეკას" ძალადობათა შესახებ ჩვენი მკითხველი საკმაოდ გაცნობილია ადგილობრივი მენშევიკების „შემოქმედების" წყალობით, ისინი ბრაფერს ახალს არ შეიცავენ და ჩვენი მშრომელი მასისათვის არ არიან საინტერესონი.

სხვა რამე არის უფრო საინტერესო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს" მოწოდება მენშევიკური პარტიის წევრებისადმი, მოთავსებული ხსენებულ „ჟურნალის" № 13-ში. „ბიურო" მოუწოდებს პარტიის წევრებს მუშაობის გაძლიერებისაკენ. ბიუროს სიტყვით, პარტიამ უნდა განამტკიცოს თავის წრეში სწორი წარმოდგენა თავის მუშაობის მასიურ ორიენტაციის აუცილებლობის შესახებ და კატეგორიულად უარყოს მუშაობის ვიწრო ფარგლებში წარმოება. ბიურო არიგებს თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს განამტკიცონ კავშირი პროლეტარიატის მასიურ ცხოვრებასთან, კერძოდ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პარტიულ საგიტაციო-საპროპაგანდო ბეჭდვითი სიტყვას, საპროპაგანდო საწრეო მუშაობას, რომელშიც უნდა ჩააბან მუშათა აქტიური ელემენტები. ბიურო ამასთან „გულს უმაგრებს" ადგილობრივ ორგანიზაციებს და აცნობებს მათ, რომ პარტიული ცენტრის მუშაობა ყველა მის ნაწილში გრძელდებაო და სხ.

ამგვარად, რუსეთის მენშევიკ-ცეკისტები არ ხუმრობენ, ისინი ფართე „მოქმედებისათვის" ემზადებიან. ისინი რაღაც ადგილობრივ ორგანიზაციებზე და მათ მიერ მასიურ მუშაობის გაჩაღებაზე ლაპარაკობენ.

რა თქმა უნდა, მენშევიკების რაიმე სერიოზულ და მასიურ ორგანიზაციების არსებობაზე რუსეთში ზედმეტია ლაპარაკი. ეს უკეთ იცის თვით მენშევიკების „ბიურომ". მაგრამ მთელი ეს „სიტყვიერება" საჭიროა მათი უძლურების დასაფარავად, ან კიდევ შეცდომაში შესაყვანად და სამოქმედოდ წასაქეზებლად მერყევ ელემენტებისა მენშევიკების ბანაკიდან.

საგულისხმოა, რომ ბ. მენშევიკები სწორედ ეხლა გამოვიდნენ ასეთი ინტენსიური და აქტიური მუშაობისაკენ მოწოდებით. დღევანდელი მომენტი მათ ამისათვის ხელსაყრელად მიაჩნევიათ.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ სულ უფრო აქტუალური ხდებიან საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, მეორე მხრივ, მუშათა კლასი სულ უფრო იფარება ალორძინების გზაზე შემდგარ კაპიტალისტურ დამოკიდებულებათა ქსელით. ამ რთულ პოლიტიკურ მომენტში სოციალ-დემოკრატიის მუშაობა უპასუხებს უდიდეს ისტორიულ მოთხოვნილებასო.

აი, სად არის თავი და თავი იმედო ბ. მენშევიკების.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა დგას უდიდეს ამბების წინ, მსოფლიო რევოლუციის დაწყების წინ. ამასთან ფაშისტური რეაქცია რკალივით ერტყმება მას, მეორე მხრივ წვრილბურჟუაზიული სტიქიას მიაქვს იერიშები საბჭოთა ხელისუფლების სიმაგრეებზე.

აი, ასეთ მომენტში, როცა საჭიროა დარაზმვა მუშათა რაზმების მსოფლიო რევოლუციის გასამარჯვებლად, ბ. მენშევიკები იმედოვნებენ არევ-დარევა შეიტანონ მუშათა კლასში, ხელი შეუწყონ წვრილ-ბურჟუაზიულ ტენდენციების განვითარებას და ამით ლახვარი ჩასცენ გამარჯვებულ პროლეტარიატს და ერთხელ კიდევ სცადონ ბედი ისტორიის ჩარხის მოსატრიალებლად, „დემოკრატიის" გასამარჯვებლად.

მაგრამ ამაოდ. რუსეთის მუშათა კლასი მედგრად იტანს როგორც მსოფლიო რეაქციის იერიშებს, ისე წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის მოზღვავებას. ის მჭიდროდაა დარაზმული კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ და მისი ხელმძღვანელობით მიიწევს წინ ახალ და ახალ მიღწევებისა და გამარჯვებებისაკენ.

და პროლეტარიატის ასეთ ძლევამოსილ მსვლელობას ვერას დააკლებენ ორიოდე უსულო დოქტრინიორი და გაბოროტებული ადამიანი „სოციალისტურ უწყების" ბანაკიდან.

ხოლო ასეთი მოღალატური მოქმედებისათვის მათ სასტიკ პასუხს აგებინებს თვით ის მასა, რომელიც წინეთ მისდევდა ამ ვაჟბატონებს. ეს მასა იმზადება მათთვის სასიკვდილო განაჩენის გამოსატანად.

სოციალური დაზღვევის შესახებ

ყველასათვის ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ არც ერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე არ გაკეთდება ზევიდან კარნახით, თუ მას არა აქვს მტკიცე ნიადაგი დაბალ ფონებში და ფესვები ცხოვრების სინამდვილეში. სახელმწიფოს აქვს თავისი კონსტიტუცია, ჩამოსხმული გარკვეულ ფორმაში, აქვს კანონები სხვა და სხვა დარგში, რომელიც აწესრიგებსა ურთიერთობას მთავრობის ორგანოებს და მოქალაქეთა შორის და სხვა. თავის თავად ცხადია, რომ მშრომელთა სახელმწიფოში, ზედმიწევნით აწონილ-დაწონილი და შესწავლილ უნდა იქნეს შრომის კანონმდებლობა, და ფრთხილად იქნეს შერჩეული პერსონალი შრომის ორგანოების. ასეთი პერსონალის მომზადებას უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენში. შრომის მომწესრიგებელ კანონმდებლობის ერთ უმნიშვნელოვანეს შტოს შეადგენს სოციალური დაზღვევა—და ამ დარგზე მინდა ცოტა შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

მრავალი კანონებია სოციალური დაზღვევის დარგში გამოცემული, მათ ცხოვრებაში გასატარებლად კიდევ მრავალი ინსტრუქციები და განმარტებანი. ეჭვი არაა, რომ ის პირები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ, კარგათ იცნობენ სოციალური დაზღვევის პრაქტიკას; მათ მიერ შემუშავებული კანონები დაფუძნებულია ჩვენი ცხოვრების პირობებზე, მაგრამ ეს არ კმარა. ცხოვრება წინ მიდის, ჩვენს წინ იშლება მრავალი პერსპექტივები, დაზღვევის დაბალ საფეხურებში მომუშავე ამხანაგები მუშაობის დროს ხვდებიან ისეთ საკითხებს, რომელიც მოითხოვს არა მარტო არსებულის გაშუქებას, არამედ მის შეცვლას, ცხოვრების სულ ახალ და ახალ მოვლენებთან შეფარდებულ ნაბიჯებს.

ისმება ამიტომ საკითხი: ახალი ცოცხალი მასალა როგორ უნდა გადამუშავდეს და ვინ უნდა იყოს ამ გადამუშავების ინიციატორი?

პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ინიციატივა თავის თავზე იდვას უნდა იმ ძირითად ორგანოებმა, რომელნიც უშუალოდ ატარებენ ცხოვრებაში სოციალური დაზღვევის კანონებს. აქ როგორ უნდა მოხდეს ეს? ამ კითხვაზე რომ გარკვევით ვუპასუხოთ, საჭიროა გავეცნოთ მოკლეთ თუ რას აკეთებს დამზღვევი კასა?

წვრილი სამაზრო კასები რომ არ მივიღოთ მხედველობაში საილუსტრაციოთ საკმარისი იქნება ტფილისის დამზღვევი კასა. არ არის სოციალური დაზღვევის არც ერთი დარგი, რომელსაც ტფილისის დამზღვევი კასა არ აერთიანებდეს და არ აწარმოებდეს სათანადოთ მუშაობას. აქ შეხვდებით თქვენ საპროცენტო ანარიცხების აკრეფას, ყოველგვარი სახის დახმარების გაცემას, უმუშევრობის დაზღვევას, ინვალიდების და ქვრივ-ობლების უზრუნველყოფას, საექიმო ექსპერტიზას, პროფორგანიზაციებთან ყოველდღიურ დამოკიდებულებას და სხვა და სხვა... მაშასადამე, არის რამოდენიმე განყოფილებები თავიანთი გამგეებით და. რა თქმა უნდა, შტატით. ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვით შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე იმ დაწესებულებაში, რომელსაც ასეთი შტატი ყავს და რომელიც მრავალ ათასს დაზღვეულს უწევს სამსახურს. დღეს, როდესაც კამპანიას ვეწევით დროის ეკონომიაზე, არსებობს ისეთი დაწესებულებები, რომელიც მშრომელ მასას აუარებელ დროს ართმევს რიგებში დგომით და მთხოვნელის სწრაფად დაკმაყოფილების საშუალება არ მოიპოვება, არ არის მოქნილობა-ელასტიურობა. ამასაც რა თქმა უნდა თავის დროზე ყურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს დამზღვევი კასისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს მას მიღებული გამოცდილების ცხოვრებაში გამოყენებისას. აუარებელი მაგალითები მოიპოვება, რომ ესა თუ ის ამხანაგი დღის წააწყდება მუშაობის რომელიმე დარგში სავსებით ახალ საკითხს, რომელსაც ის ან თავისებურად გადასჭრის, ან ხმის უმრავლესობით ხან ისე და ხან ისე გადაიჭრება. რამდენადაც ინიციატივის გამოჩენაზე გვაქვს ლაპარაკი, საჭიროა კასაში შტატის შექმნა ისეთი პირებისაგან, რომელნიც ახლის ძიებაში უნდა იქნენ დაინტერესებულნი და ყოველ სადავო საკითხს არ მიაფუჩეჩონ, არამედ თავისი დასკვნით გამგეობის პლენუმს წარუდგინონ. ეს პირველი ნაბიჯი სწორედ გადადგა ტფილისის დამზღვევმა კასამ და მას უნდა მიბაძონ სხვა კასებმაც. ახალი საკითხის გარჩევის დროს გამგეობა მსჯელობს და უმრავლესობის ხმით წყდება საკითხი, ან გადადის ის უმაღლეს ინსტანციაში. ასე უცებ კითხვის გადაჭრა არ ვარგა. საჭიროა საჯარო დისკუსია, მაგრამ ეს არ ხდება. სხვათა შორის ესეც ამტკიცებს, რომ ჩვენში ნაკლებად მოიპოვება სოციალურ დაზღვევის მუშაკები. ამიტომ საჭიროა მათი გამოზრდა, საჭიროა პრაქტიკაში მომუშავეთა უფრო გაწვრთნა, სპეციალური სოცდაზღვევის კურსების დაარსება და დაზღვევის საკითხების პრესაში გაშუქება. ამაზე სათანადო დახმარება უნდა გაუწიოს დამზღვევ ორგანოებს პროფორგანიზაციებმაც. სოცდაზღვევის სამმართველოს განზრახული ჰქონდა სპეციალური ჟურნალის გამოცემა მაგრამ საქმე შეჩერდა.

რაც შეეხება კურსების დაარსებას, დამზღვევი კასების ხელმძღვანელებმა უნდა გამონახონ ამის საშუალება.

ი. ლ.

საფრანგეთის მენშევიკები და შტრეზემანის მთავრობა

გრუმბახი *) უკმაყოფილოა გერმანელ კომუნისტების მიერ შტრეზემანის სამინისტროსადმი დაჭერილ პოზიციით. ის წყევლა-კრულვას უგზავნის გაზეთ „კოტიდიენ"-ის ფურცლებზე მათ და გატაცებით იცავს კანცლერს ჩვენი ამხანაგების იერიშებისაგან.

„პოპულერ"-იც **) კვერს უკრავს მას თავის გრძელ დასაცავ სიტყვაში, რომელშიაც „დემაგოგ-კომუნისტების" საწინააღმდეგოთ აღწერილია ბერლინის ახალ სამინისტრო კომბინაციის ყოველგვარი სიკეთე. გრუმბახი მეტად მარტივად მსჯელობს: შტრეზემანი და მისი სამინისტრო ხაზგასმით აღნიშნავენ თავის პროგრამაში „საფრანგეთთან შეთანხმების" სურვილს ამ ნათლად გამოთქმულ ახალი მთავრობის სურვილის გამო მისი წინააღმდეგ ბრძოლა ბოროტმოქმედებას წარმოადგენს. პირიქით, საჭიროა ამ პოლიტიკოსისთვის მხარის დაჭერა.

გრუმბახის თვალსაზრისს საფრანგეთში იცავს მრავალი ჟურნალი და ორგანიზაცია, რომლებიც თავიანთ თავს, მდაბიოთ რომ ვთქვათ, „მემარცხენეებს" უწოდებენ.

ჩვენ არ გვაქვს განზრახული ჩვენი მეგობრების, გერმანელ რევოლიუციონერების დაცვა, რომლებიც ამჟამად შტრეზემანის წინააღმდეგ ილაშქრებენ ისე, როგორც ამასვე შვებოდნენ წინედ კუნოს წინააღმდეგაც. აწმყოს და მომავლის ამბები თავისთავათ გაამართლებენ მათ ტაქტიკას, რომელიც მხოლოდ, როგორც ასეთი აკმაყოფილებს ინტერნაციონალურ მუშათა კლასის ინტერესებს.

გვარწმუნებენ, რომ შტრეზემანის მთავრობას სურს საფრანგეთთან შეთანხმების ჩამოგდებაო.

მაგრამ რომელ საფრანგეთთან?

—პუანკარეს საფრანგეთთან. უფრო სწორად რომ ვთქვათ: ბანდას, რომელიც ამჟამად ბერლინის ხელისუფლებას წარმოადგენს და რომელსაც მხარს უჭერს სტინნესის ჯგუფი, სურს ბოლო მოუღოს რურის საკითხს მით, რომ თავის წარმოებებში მონაწილეობა დაუთმოს საფრანგეთის კაპიტალისტებს.

ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის, რომ ამ ოპერაციაში საქმე მდგომარეობს არა **საფრანგეთის**, არამედ ჩვენი „ლითონის მრეწველთა კომიტეტის" ფლიბუსტიერების (ყაჩაღების) სარგებლობაში, რაც სრულიადაც არ არის ერთი და იგივე: ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ სტინნესისა და მისი თანამომხრეებისათვის ფრიად ხელსაყრელი იქნებოდა მათი საფინანსო და სამრეწველო წარმოებების დაცვა საფრანგეთის ხიშტების დახმარებით. იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის და გერმანიის კაპიტალისტები მორიგდებიან თანახმად შტრეზემანის პროგრამისა, თუ ისინი მეგობრულად გაინაწილებენ რურის ნადავლს, საფრანგეთის არმია იძულებული იქნება იარაღით დაიცვას ამ გარიგების ხელშეუხებლობა. ვის წინააღმდეგ იქნება იგი დაცული? რეინის გაღმა მყოფ პროლეტარების, მემაღაროებისა და მელითონეების წინააღმდეგ, რომელთა მხრებზე იქნება გადატანილი იმ პოლიტიკის ხარჯები, რომლის დამცველათ გამოდიან გრუმბახი და ბურჟუაზიული გაზეთები. გერმანიისა და ჩვენი მაგნატების საერთო ინტერესების დასაცავად საფრანგეთის არმია ნამდვილ სასწაულებს მოახდენდა, რასაც საკმაოთ ამტკიცებს რამოდენიმე ხნის წინეთ ლიუდვიგსჰაფენში მომხდარი დიდ გაფიცვებისა და მუშათა მოძრაობის ცდა. 4 წლის განმავლობაში ჩვენმა „ბრწყინვალე" არმიამ ჩაახშო ყველა პროლეტარული გამოსვლები რეინის პროვინციებში, აიძულა ბადენის მუშები მიეღოთ 10 საათის სამუშაო დღე და საალყო წესები შემოიღო საოკუპაციო ოლქებში.

ასეთია პერსპექტივა, რომლის წინააღმდეგ ენერგიულ პროტესტს აცხადებენ რეინისა და ვესტფალიის ჩაგრულ პროლეტარიატის წარმომადგენლები. გრუმბახის გახუნებულ სოციალიზმს არ სურს შეიგნოს ეს კლასობრივი თვალსაზრისი—იგი შტრეზემანთან ერთად სტინნესის მონა-მოსამსახურეა.

ჩვენ სიამოვნებით ვტოვებთ მას ამ კომპანიაში. რაც კი ჩვენ შეგვეხება,—ჩვენ ვრჩებით გერმანელ კომუნისტების მომხრეებათ, რომელთა სარეპარაციო პროგრამა სულ არ ჰგავს ბატონ ჰიუგო სტინნესის პროგრამას.

იგი მდგომარეობს გერმანიის მუშათა და გლეხთა მიერ მთელი ძალაუფლების დაპყრობაში, სტინნეს-კრუპპებისა და რეინის გადაღმა მყოფ ქურდების ექსპროპრიაციაში და შესაძლებლობისა და გონიერების ფარგლებში ამ ყაჩაღების მიერ მითვისებულ სიმდიდრის გამოყენებაში იმ უბედურების ლიკვიდაციისათვის, რომელიც მოგვაყენა ომმა როგორც ჩვენ, აგრეთვე მთელს ევროპასაც.

მარსელ კაშენი.

---

*) გრუმბახი, რომელიც „ლომო"-ს ფსევდონიმით მოწერილ სოციალ-შოვინისტური წერილებით ავსებდა საფრანგეთის სოციალისტურ პრესას ომის დროს, არის ერთი ბელადთაგანი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის.

რედ.

**) გაზ. „კოტიდიენ-"ი არის ორგანო ეგრ. წოდ. მემარცხენე ბურჟუაზიული ბლოკის საფრანგეთში გაზ. „პოპულერი"-ც ორგანოა საფრ. სოც. პარტიის.

რედ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

სამხედრო გადატრიალება ესპანეთში

ესპანეთის სამხედრო დიქტატორმა გენერალმა დე რივერამ დაითხოვა პარლამენტი და გააუქმა მინისტრების და მათ ამხანაგთა ადგილები. ყველა სამინისტროებს თვითონ განაგებს.

სოციალისტურმა პარტიამ მოაწყო მიტინგი-დემონსტრაცია გადატრიალების წინააღმდეგ.

ახალი სამხედრო მთავრობა აპირებს მაროკოს ავანტიურის გაგრძელებას. მადრიდში და მის მიდამოებში გამოცხადებულია საალყო წესები.

გადატრიალების დაწვრილებითი ცნობები.

პარიზი. 16 სექტემბერი. თანდათან ირკვევა ესპანეთში მომხდარი გადატრიალების დაწვრილებითი ცნობები. კატალონიის გარნიზონის შემდეგ, მოძრაობას შეუერთდა არაგონისა და ახალ ბასტილიის პროვინციების გარნიზონები. დე-რივერამ პროკლამაციით მიმართა ხალხს, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოძრაობა მიზნად ისახავს ადმინისტრაციის რეფორმას, კატალონიაში რეფორმების მოხდენას, მაროკოს ოპერაციების შემცირებას, რომელიც მძიმე ტვირთად აწევა სახელმწიფოს და სეპარატისტულ მოძრაობის ჩაქრობას. დე-რივერა მოითხოვს, რომ მას გადაეცეს ხელისუფლება. მადრიდის უმაღლესმა სამხედრო პირებმა შეადგინეს დროებითი დიქტატურა. მთავრობამ ბარსელონაში გაგზავნა ესკადრა ამბოხების ჩასაქრობად. შრომის ეროვნული ფედერაცია მოითხოვს, რათა დაუყოვნებლივ განთავისუფლონ პოლიტიკურები და ამ მიზნით აწყობს სააგიტაციო პროპაგანდას.

სამხედრო პირთა დიქტატურა.

მეფის 3 დეკრეტი.

ლონდონი. 18 სექტემბერი. დირექტორიის და სამხედრო კაბინეტის მეთაურმა გენერალმა დე რივერამ განუცხადა „დეილი მეილის" მადრიდელ კორესპონდენტს, რომ ორშაბათს მეფემ ხელი მოაწერა შემდეგ სამ დეკრეტს: პირველი—პარლამენტის და სენატის არჩევითი ნაწილის გაშვების შესახებ, მეორე—პროვინციის ყველა გუბერნატორების დათხოვნის და მათ ადგილებზე უმაღლეს სამხედრო ოფიცერთა დანიშვნის შესახებ და მესამე—ყველა იმ პირთა სასტიკი დასჯის შესახებ, რომელნიც შემჩნეული იქნებიან რესპუბლიკანურ ანუ სეპარატისტულ პროპაგანდაში.

მუშები იბრძვიან გენერლის წინააღმდეგ.

ბერლინი. 18 სექტემბერი. ბარსელონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პროფკავშირებმა და სოციალისტებმა გამოაქვეყნეს საპროტესტო მოწოდება სამხედრო გადატრიალების წინააღმდეგ.

ესპანეთის გადატრიალება ხელსაყრელია საფრანგეთისათვის.

ლონდონი. 17 სექტემბერი. „დეილი კრონიკლ"-ი შიშობს, რომ ესპანეთის სამხედრო გადატრიალება თავის სასარგებლოდ არ გამოიყენოს საფრანგეთის რეაქციონურმა პოლიტიკამ.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

ალბანეთის მთავრობამ საბერძნეთის მთავრობას მიმართა ნოტით, რომელშიაც მოითხოვს ალბანეთის ქვეშევრდომთა ზარალის ანაზღაურებას.

საბერძნეთის მთავრობა მზად არის ბოდიში მოიხადოს იტალიის მთავრობის წინაშე და სათანადო ცერემონიაც შეასრულოს. საბერძნეთის სამხედრო მინისტრმა მწუხარება გამოთქვა მოკავშირეთა წინაშე იტალიის ოფიცერთა მოკვლის გამო.

იტალიის ხელისუფლება სტოვებს კუნძულ კორფუს. საბერძნეთის მოხელეები უდგებიან თავიანთ თანამდებობების შესრულებას.

ერთა ლიგის გავლენის ქვეშ.

ლონდონი. 16 სექტემბერი. პრესა აღნიშნავს, რომ კორფუს საკითხის სასურველად გადაჭრა აიხსნება ერთა ლიგის გავლენით. ლოიდ-ჯორჯი „დეილი ხრონიკლში" ჰკიცხავს რობერტ სესილის ყოფა-ქცევას ერთა ლიგაში, იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის განხილვის დროს და აღნიშნავს, რომ სესილმა მიიღო თავის თავზე ისეთი ვალდებულებანი, რომელსაც ინგლისი ვერ შეასრულებს, რაც სცემს ინგლისის პრესტიჟს.

მუსოლინის გამარჯვება.

რომი. 17 სექტემბერი. მუსოლინის მომხრენი ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებას სთვლიან მუსოლინის გამარჯვებად. მეორეს მხრივ პრესა ხაზს უსვამს, რომ იტალიას განზრახული აქვს მოსთხოვოს საბერძნეთს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის საშუალებით კორფუს საოკუპაციო ხარჯების ანაზღაურება.

იტალია სტოვებს კორფუს.

ბორდო. 17 სექტემბერი. კორფუდან მიღებულ ცნობების თანახმად, კუნძულზე მყოფმა იტალიელმა მოხელეებმა მიიღეს ბრძანება დაბრუნდენ იტალიაში. საბერძნეთის პოლიცია ხელახლა ამყარებს წესრიგს. გამოცემულია განკარგულება იმ დროებითი წესების გაუქმების შესახებ, რომელიც ზღუდავს ნაოსნობას კუნძულსა და მატერიკს შორის.

„მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმრებოდა".

ბორდო. 17 სექტემბერი. გაზეთი „ეპოქა" ხსნის საფრანგეთის წინააღმდეგობას საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტის ერთა-ლიგისათვის გადაცემის საკითხს საფრანგეთის შიშით, რათა არ მოხდეს ისეთი პრეცედენტი, როდესაც საჭირო შეიქნება საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტის ერთა-ლიგისათვის გადაცემა.

ერთა-ლიგას ეშინია განიხილოს საკითხი თავისი კომპეტენციის შესახებ.

პარიზი. 18 სექტემბერი. ჟენევიდან მიღებულ ცნობის თანახმად ერთა ლიგის საბჭომ გუშინდელი სხდომა მოანდომა იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის საკითხს. მოწონებულ იქნა პროექტი პასუხისა ელჩთა კონფერენციის უკანასკნელ განცხადებაზე. ბრანტინგმა (შვეცია) გამოსთქვა მწუხარება, რომ ერთა ლიგის საბჭომ უარი სთქვა ერთა ლიგის კომპეტენციის საკითხის განხილვაზე.

საკონტრიბუციო საკითხი

ჰილფერდინგის განცხადებით, გერმანიამ გადასწყვიტა ხელი აიღოს პასიურ წინააღმდეგობაზე. მიუხედავათ ამისა, საფრანგეთი მაინც არ სთანხმდება რურის დაცლაზე.

გერმანიის პრესა დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს პუანკარეს უკანასკნელი სიტყვის შესახებ. გაზეთები მოითხოვენ შტრეზემანის მთავრობისაგან უფრო მეტ აქტივობას.

მენდერსონი მოითხოვს საფრანგეთის მიერ რურის დაცლას და იქ გერმანიის სუვერენიტეტის აღდგენას.

საფრანგეთის პრესა შტრეზემანის სიტყვაში გერმანიის მთავრობის ლმობიერ კილოს ხედავს.

რურის კონფლიქტის ლიკვიდაციის პროექტი.

ბერლინი. 15 სექტემბერი. „ბერლინერ ცაიტუნგ"-ის პირველ გვერდზე დიდი ასოებით არის დაბეჭდილი სარწმუნო წყაროებიდან მიღებული პროექტი გერმანიის მთავრობისა რურის კონფლიქტის სალიკვიდაციოდ, რომელშიაც ორი სტადიაა გათვალისწინებული: პირველი სტადიის განმავლობაში გერმანია კვლავ დაიბრუნებს უფლებას რურზე, მაგრამ ფრანგებიც დარჩებიან რურში; გერმანიის უფლებათა აღდგენა განისაზღვრება საოკუპაციო ოლქებისა და დანარჩენ გერმანიის შორის თავისუფალ მიმოსვლის აღდგენით და გერმანიის სუვერენულ უფლებათა აღდგენით გერმანიის რკინის გზებზე. გერმანიის ხელში რკინისგზათა გამგეობის გადასვლას მიზნად აქვს ნიადაგი შეამზადოს გერმანიის მთავრობის მიერ განზრახულ საკრედიტო ოპერაციებისათვის.

რურის ევაკუაცია დაიწყება მეორე სტადიაში. იმავე დროის განმავლობაში გაანთავისუფლებენ ოკუპაციის დროს დატუსაღებულ გერმანელ მოქალაქეებს.

ეს პროგრამა მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად ძლიერია გერმანიის მთავრობაში საფრანგეთთან მორიგების სურვილი.

პუანკარეს სიტყვა.

პარიზი. 17 სექტემბერი. თავის უკანასკნელ სიტყვაში პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთი მოითხოვს ვერსალის ხელშეკრულების შესრულებას, რომლის გარეშე მისი მშვიდობიანობა შეუძლებელია. ამ ხელშეკრულებით, რომელზედაც ხელს აწერს გერმანიაც, გერმანიის ვალის რაოდენობის და მისი გადახდის წესის გამორკვევა ევალება მხოლოთ საკონტრიბუციო კომისიას და მისთვის გვერდის ახვევას საფრანგეთის მთავრობა არასოდეს არ დაუშვებს. საფრანგეთის ხელში არსებულ გარანტიებს ის არ გაუშვებს მანამდე, სანამ არ მიიღებს სრულ დაკმაყოფილებას გერმანიისაგან.

3,500 მილიარდი მარკის ხელში ჩაგდება.

პარიზი. 17 სექტემბერი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, კნოკესთან ხელთ იგდეს ჰაეროპლანი 3,500 მილიარდი მარკით, რომელიც, როგორც სჩანს, იგზავნებოდა პასიური წინააღმდეგობის ხარჯებისათვის.

მოლაპარაკებისათვის ემზადებიან.

ოფიციალური წრეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ოფიციალური მოლაპარაკება საფრანგეთსა და გერმანიას შორის კიდევ არ დაწყებულა, ხოლო კერძო მოლაპარაკება გრძელდება: პუანკარეს მოწინააღმდეგეები აცხადებენ პასიური წინააღმდეგობის ფაქტიურათ შეწყვეტის შესახებ და შეუძლებლათ სთვლიან რურის უფრო ექსპლოატაციას. რადიკალები ამჯობინებენ დასცალონ რური და დათანხმდენ გირაოებზე, რომელიც წამოაყენა შტრეზემანმა.

საზოგადოებრივ აზრს ამზადებენ.

პარიზი. 18 სექტემბერი. გერმანიისა და საფრანგეთის მოლაპარაკების გამო, გაზ. „ეველტ ამ მონტაგ"-ი ურჩევს გერმანიის მთავრობას, რაც შეიძლება ჩქარა მოახერხოს პირისპირ შეხვედრა შტრეზემანისა და პუანკარესი საკონტრიბუციო და რურის საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლად. გაზეთი თანაც აღნიშნავს იმ უზომო დაბრკოლებასაც, რომელიც წინ ელოდება ამ მოლაპარაკებას და რომელიც შედეგია კუნოს კაბინეტის პოლიტიკისა, რამაც აუარებელ უბედურებაში ჩააგდო გერმანია.

საფრანგეთი მედგარ ითმენს.

პარიზი. 17 სექტ. **საფრანგეთის ოფიციალურ წრეებს არ აკმაყოფილებს უკანასკნელი სიტყვა შტრეზემანის, რომელსაც გარკვეული აზრი არ გამოუთქვამს პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. პრესა ხაზს უსვამს რურის ევაკუაციის შეუძლებლობას.**

საკონტრიბუციო კომისია იხილავს შტრეზემანის წინადადებებს.

ბერლინი. 18 სექტ. პარიზიდან იტყობინებიან, რომ ყოველშემთხვევაში შტრეზემანის წინადადებებს განიხილავს საკონტრიბუციო კომისია.

კუნო გერმანიის მდგომარეობის შესახებ.

ნიუ-იორკი. 17 სექტ. გერმანიის ყოფილმა კანცლერმა კუნომ, რომელიც მივიდა ამერიკაში ჰამბურგ-ამერიკის გემების მიმოსვლის ხაზის საქმის გამო, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, უარი განაცხადა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაზე და აღნიშნა, რომ რურის საკითხის გადაჭრის გადადება გააუარესებს გერმანიის და ევროპის მდგომარეობასო. მარკის დაცემა საშუალებას უსპობს გერმანიას აწარმოვოს შესყიდვა ამერიკაში.

გერმანიამ გადასწყვიტა შესწყვიტოს პასიური წინააღმდეგობა

ჰილფერდინგის სიტყვა.

ბერლინი. 17 სექტ. ჰილფერდინგმა გერმანიის რეიხსტაგის ეკონომიურ კომისიაში წარმოთქმული სიტყვის მეტი ნაწილი მოანდომა კუნოს მთავრობის ფარული მახინაციების გამომჟღავნებას, რომლებიც მიმართული იყვნენ პასიური წინააღმდეგობის მოწყობისაკენ რურში „თითქმის დაკავებულ ოლქების მთელი მოსახლეობა, განაცხადა ჰილფერდინგმა,—და თვით მრეწველებიც ინახებოდენ გერმანიის ხაზინის ხარჯზე.

დაკავებულ ოლქების მრეწველობას სავსებით ფინანსებს აწოდებდა მთავრობა და ამავე დროს, კონტროლის უქონლობის გამო, ადგილი ჰქონდა კოლოსალურ ბოროტმოქმედებას სამუშაო ხელფასის და უმუშევართა დახმარების გაცემის დროს. ამ ბოროტებასთან ბრძოლის პირველი საშუალება იქნება დაკავებულ ოლქებისათვის, ხოლო პირველ ყოვლის—რეინის ოლქისათვის სახელმწიფო საშუალებების მიცემის შეწყვეტა.

ჰილფერდინგის განცხადება მოწმობს, რომ გერმანიამ გადასწყვიტა შესწყვიტოს პასიური წინააღმდეგობა, თუმცაღა თავისი სიტყვის შემდეგ ნაწილში ჰილფერდინგი აფრთხილებდა საფრანგეთს არ მოეთხოვა დაკავებულ ოლქებისათვის კრედიტების მიცემის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, რადგანაც, მისი აზრით, დაკავებულ ოლქებში რადიკალური ზომების განხორციელების დროს მოსალოდნელია ახალი მღელვარების წარმოება.

რურის საკითხის გადაჭრა, ჰილფერდინგის განცხადებით, შესაძლებელია მხოლოდ დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყების გზით.

მღელვარების საფრთხე მუშებს შორის.

თავისი სიტყვის მეორე ნაწილში ჰილფერდინგმა განაცხადა მომავალში

გერმანიის პრესის აზრი პუანკარეს სიტყვის შესახებ

გაზეთების საყვედური.

ბერლინი. 18 სექტემბერი. გერმანიის საორშაბათო დღის გაზეთები უკეთებენ კომენტარიებს პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას:

გაზ. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" (სტინესის ორგანო) აღნიშნავს, რომ პუანკარე ხელს უშლის გერმანიის მთავრობას განაგრძოს თავისი შემარიგებელი პოლიტიკა როგორც შიგნით ისე გარედ.

„ფოსიშე (ცეიტუნგი" (ბურჟუაზიულ დემოკრატიული გაზეთი), ფიქრობს, რომ პუანკარეს უკანასკნელი სიტყვა იწვევს ეჭვს, რომ საკმაო ყურადღებით არ ეპყრობა საფრანგეთი გერმანიის წინადადებებს. ამიტომ შტრეზემანმა აშკარად უნდა განაცხადოს, რომ შემდეგი მოლაპარაკება მხოლოდ მაშინ იქნება მიზანშეწონილი, თუ დაუსრულებლად არ გაჭიანურდება.

„გერმანია" (გერმანიის ნაციონალისტების მემარჯვენე ფრთის ორგანო). აღნიშნავს, რომ, თუმცა მდგომარეობა მცირეოდნად შეიცვალა, მაგრამ გერმანიის მთავრობის მიზანი რურის კონფლიქტის სასწრაფო ლიკვიდაცია—უცვლელი რჩება. გაზეთი აყენებს კითხვას: არ არის განა დრო რომ შტრეზემანის კაბინეტმა გამოიჩინოს თავისი დიპლომატიური აქტივობა რურის კონფლიქტში? „ფორვერტსი" (გერმანიის სოციალ-დემოკრატების ორგანო), ფიქრობს, რომ პუანკარეს სიტყვას იმდენის გაცრუება შეუძლია გამოიწვიოს გერმანიის წრეებში. ერთად-ერთი დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიყვანოთ პუანკარეს სიტყვიდან ეს არის—გადაკვრით თქმა, რომ შტრეზემანის წინადადებები უნდა გადაეცეს საკონტრიბუციო კომისიას.

მენშევიკური „ცეკას" უკანასკნელი რეზერვის გაფანტვა

გადასახლებული მენშევიკების მიმართვა მთავრობისადმი

ნირობიდან (პერმის გუბერნია) ა. კავკასიის ცაკის თავმჯდომარის ამხ. ცხაკაიას სახელზე მოსულია შემდეგი დეპეშა:

„სრულიად ვიზიარებთ ყოფილ მენშევიკების ყრილობის დადგენილებას და ვესალმებით მთლიან ფრონტის შექმნას. ვფიცავთ ხელი შეუწყოთ მუშათა ხელისუფლების განმტკიცებას. გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება შემდეგი პირების: ზაქარია ჩრეგვაძის, ელეფთერ მელაძის, დავით მელაძის, დავით მექამოვას, მოსე ალიაშვილის, გიორგი ქურცხიძის, პეტა კავკასიძის და გიორგი ფალიაშვილის სამშობლოში დასაბრუნებლად".

ამხ. მიხა ცხაკაიას მიერ უკვე გაცემულია სათანადო განკარგულება მათ გასანთავისუფლებლად და სამშობლოში დასაბრუნებლად.

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქტორს

მიმდინარე ომმა ძირბუდიანათ შეარყია კაპიტალისტური წესწყობილება და ნიადაგი მოუმზადა მსოფლიო რევოლიუციას,—როგორც ომი იყო მსოფლიო, ისე რევოლიუციას მიეცა მსოფლიო ხასიათი.

ყველა რევოლიუციები მე-19-ე საუკუნისა მიაჩნდათ ბურჟუაზიულ რევოლიუციებათ. ამიტომ იყო, რომ მეორე ინტერნაციონალმა დააწერა თავის „დროშაზე „დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ", ე. ი. სოციალიზმის განხორციელება სიტყვის, კრების, ბეჭდვის თავისუფლებით, საყოველთაო არჩევნებით, პარლამენტით, დემოკრატიული რესპუბლიკით. გამონაკლისს შეადგენს 1871 წლის პარიზის კომუნა. აქ ჩაისახა პირველათ მუშათა დიქტატურა, მაგრამ ბურჟუაზიამ სისხლში ჩაახრჩო ის და არ მისცა გასაქანი მას. მე-19-ე საუკუნის ბოლოდან სურათი იცვლება. ფინანსიური კაპიტალი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი ფორმა, ტრესტების, სინდიკატების, აქციონერულ საზოგადოებათა, ბანკების და სხვა უამრავ საკრედიტო სამრეწველო დაწესებულებათა საშუალებით ეპატრონება მთელ მსოფლიოს. უხილავი ძაფებით უკავშირებს ერთი მეორეს კაპიტალისტურად განვითარებულ სხვადასხვა ქვეყნებს და აყალიბებს მათ სხვადასხვა სახელმწიფოთა „კავშირში" თუ „შეთანხმებებში", საქონლის გასასაღებელ ბაზრებისა თუ სამრეწველო რაიონების დაპყრობის ნიადაგზე. ჩაღდება იმპერიალისტური ომი და მთელი მსოფლიო ებმება ამ ომში.

მეორე ინტერნაციონალი, რომლის დროშაზე ეწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით" არ ებრძვის ომს „სამშობლოს დაცვის" პრინციპი წყალს უშვებს ბურჟუაზიის წისქვილზე და ობიექტიურათ ხელს უწყობს მთელი ქვეყნის ბურჟუაზიას მუშათა სისხლის ღვრაში. ომი აჩერებს და ანადგურებს წარმოებას, აქარწყლებს კულტურას, ანიავებს ხალხის სიმდიდრეს და ხელს უშლის მეურნეობას; წარმოშობს სიმშილს, სიტიტვლეს და უზომო სილატაკეს. ეს მძიმე ლოდათ აწვება მუშათა კლასს. ოთხი წლის ომი და სისხლის ღვრა სისხლიდან სცლის პროლეტარიატს; ის ვერ უკლებს სიმშილს, ივსება მოთმინების ფიალა და იწყება რევოლიუცია, რუსეთის დიდი რევოლიუცია. მისი საქმე თავდაპირველათ უვარდება ხელში მეორე ინტერნაციონალის ორგანიზაციებს, მენშევიკებსა და ესერებს, რომლებიც მუშაობენ ლოზუნგის ქვეშ: „დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ", რაც წარმოადგენს ბურჟუაზიასთან კოალიციის საშუალებით დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების ცდას.

მაგრამ რუსეთის რევოლიუციამ არ გაამართლა ეს გზა. ბურჟუაზიამ არ დასთმო და არც შეეძლო დაეთმო თავისი კლასიური ინტერესები. როგორც კი დაეჯახა ერთი მეორეს ორი ძალა ბურჟუაზია, გადაიჩეხა კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკში. გამოეცალა ნიადაგი კოალიციას, მაგრამ მენშევიკ-ესერების ბლოკმა, ვერ გაბედა ხელისუფლების ხელში აღება. მოხდა ოქტომბრის გადატრიალება, რომელმაც ხელისუფლება მიანიჭა კომუნისტურ პარტიას; რევოლიუციამ თავის მსვლელობაში მიიღო სოციალისტური ხასიათი და გამეფდა პროლეტარიატის დიქტატურა.

ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით ალღო აუღო რევოლიუციას. შექმნეს მტკიცე ხელისუფლება და დიქტატურით იხსნეს რევოლიუცია დაღუპვისაგან, საითკენაც ის მიჰყავდა „დემოკრატიულ გზას". ასე დაამარცხა „დემოკრატიული გზა" დიქტატურამ და დაამარცხა იმიტომ, რომ რევოლიუციის მსვლელობა, მისი სოციალისტური ხასიათი მოითხოვდა პროლეტარიატის დიქტატურას.

ჩემი შეხედულებით რუსეთის სოციალისტური რევოლიუცია გაიმარჯვებს როგორც მსოფლიო რევოლიუცია, ან სულ ვერ გაიმარჯვებს.

სამხედრო კომუნიზმმა სრული გამარჯვებით დაამთავრა თავისი როლი რუსეთის საზღვრებში, მან ყოველგან ჩაკლა კონტრ-რევოლიუცია და საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც მხარს უჭერს გლეხობის უღარიბესი ნაწილი, შეუდგა წარმოების და აღმშენებლობის სოციალისტურ ნიადაგზე მოწყობას. დღეს მთელი მსოფლიო იყოფა ორ ბანაკად. რეაქცია ირაზმება ფაშისტების სახით. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი უნდა დაირაზმოს ერთ ფრონტზე, რომ იხსნას რევოლიუცია დაღუპვისაგან. სხვა გზა არ არის. ვინც შესძლებს მთელი ქვეყნის მუშათა გაერთიანებას რევოლიუციის მხსნელიც ის იქნება. მესამე ინტერნაციონალი შემდგარია ამ ნიადაგზე, ის ლახავს სახელმწიფო საზღვრებს და დახმარების ხელს უწვდის სხვა ქვეყნების პროლეტარიატს.

ამნაირათ მომენტის ერთ ამოცანათ მე მიმაჩნია მუშათა ფრონტის გაერთიანება და მე სულითა და გულით და მთელი ჩემი ენერგიით ვემხრობი ამ გაერთიანებულ ფრონტს.

ვიქ. ღლონტი.

ქ. ოზურგეთი
2 სექტემბერი
1923 წელი.

საამშენებლო მიზნებისათვის სესხის შეწყვეტის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმუშევართათვის დახმარება გადიდებული იქნება, თუ ხარჯების ნაწილს დაფარავენ მრეწველები. ჰილფერდინგმა აღნიშნა აგრეთვე, რომ საგადასახადო პოლიტიკის წარმატებით გატარება შესაძლებელია მხოლოდ დეცენტრალიზაციის გზით და მიუთითა საფრთხეზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს სოფლის მეურნეების მიერ მოსავლის გადამალვამ, მარკის დაცემის გამო.

შემდეგ გამართულ კამათის დროს გამოირკვა, რომ ჰილფერდინგის დებულებები გაიზიარეს ზოგიერთებმა. კომისია დაკმაყოფილდა რეზოლიუციის მიღებით სახელმწიფო მოსამსახურეთა რაოდენობის შემცირების შესახებ. შიშობენ, რომ რურის კრედიტების შემცირება და მთავრობის მიერ უარის თქმა საამშენებლო მრეწველობისათვის დახმარების გაწევაზე, გამოიწვევს მღელვარებას მუშებს შორის.

ფიუმეს საკითხი

მუსოლინი აცხადებს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია ფიუმეს საკითხში კიდევ წავიდეს რაიმე დათმობაზე.

ფიქრობენ, რომ იტალიას ფიუმეს საკითხში მხარს უჭერს საფრანგეთიც, რომელიც მომხრეა, რაც შეიძლება მალე, მოხდეს ფიუმეს დაჭერა იტალიის მიერ.

სამხრეთ-სლავიის საზღვრებზე თავს იყრის ბულგარეთის ჯარი, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ფიუმეს საკითხის გადაჭრასთან.

იტალიის მთავრობამ ფიუმეში უკვე დანიშნა თავისი გუბერნატორი, რომელიც აღჭურვილია დიქტატორული უფლებებით.

უშუალო მოლაპარაკება.

პრაღა. 16 სექტემბერი. მუსოლინი პაშიჩისადმი მიწერილ წერილში აცხადებს, რომ იტალიის მთავრობას არ შეუძლია წავიდეს შემდეგ დათმობაზე ფიუმეს საკითხში. ამავე დროს მუსოლინი აგრძნობინებს სამხრეთ-სლავიას, რომ ის წინააღმდეგი არ იქნებოდა უშუალო მოლაპარაკების განახლებისა. ბელგრადის გაზეთები იტყობინებიან, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობამ გადასწყვიტა დაეთანხმოს უშუალო მოლაპარაკებას, უარჰყო რა მან იტალიის უკანასკნელი წინადადება ფიუმეს საკითხის იტალიის ადმინისტრაციის მეთაურობით შემდგარ კონსორციუმისათვის გადაცემის შესახებ.

მიღწეულია შეთანხმება.

ვენა. 17 სექტემბერი. სამხრეთ-სლავიის ინიციატივით, სამხრეთ-სლავიამ და იტალიამ ერთად გადასცეს ერთა-ლიგას რაპალოსა და სანტა-მარგარიტაში ხელმოწერილი ხელშეკრულებანი, რეგისტრაციაში გასატარებლად და გამოსაქვეყნებლად; ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე სახელმწიფოს შორის მიღწეულია შეთანხმება ფიუმეს საკითხში.

მუსოლინი სცდილობს მოიგოს დრო.

ვენა. 17 სექტემბერი. გაზეთი „მესაჯერო" იტყობინება, რომ ერთა ლიგისათვის ხელშეკრულების გადაცემასთან ერთად, მუსოლინმა გადასცა სამხრეთ-სლავიის ელჩს რომში, ახალი წინადადება ფიუმეს შესახებ, რომლის თანახმად დელტა და ნავთსადგური ბაროში უნდა წარმოადგენდეს ერთ ადმინისტრატიულ ერთეულს. მუსოლინი დაჟინებით მოითხოვს კონსორციუმის შედგენას, რაც ფაქტიურად გააუქმებს ერთა-ლიგისათვის ხელშეკრულებათა გადაცემას.

ფიუმეს საკითხი მშვიდობიანად გადასწყდება.

ბორდო. 16 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, სამხრეთ-სლავიას გაუგრძელებენ იტალიისათვის პასუხის გაცემის ვადას, ბელგრადის პრესა ოპტიმისტურად უცქერის ფიუმეს საკითხის გადაწყვეტას.

ბულგარეთი ფრთხილადაა.

ლონდონი 17 სექტემბერი. სალონიკიდან მოსულ ცნობების თანახმად ფრაკიის საზღვრებზე გაცხოველდა ბულგარეთის მოქმედება, რასაც უკავშირებენ ფიუმეს გამოურკვეველ მდგომარეობას.

იტალიის გუბერნატორის დანიშვნა ფიუმეში.

ბერლინი. 18 სექტემბერი. ფიუმეს სამოქალაქო გუბერნატორი დეპოლი გადადგა. მის ადგილზე იტალიის მთავრობამ ჯარდინო დანიშნა და მიანიჭა მას დიქტატორის უფლებები ფიუმეს საკითხის საბოლოოდ გადაჭრამდე. ამ დანიშვნამ დიდი გაოცება გამოიწვია სამხრეთ-სლავიის მთავრობის წრეებში, რადგან ეს მოხდა იტალიასა და სამხრეთ-სლავიის შორის ახალ მოლაპარაკების წინ ფიუმეს საკითხის გარშემო.

გერმანიის ამბები

სიძვირის ნიადაგზე მთელ გერმანიაში დიდი მღელვარებაა—უმუშევარ დემონსტრანტებს და პოლიციას შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება.

გერმანიის მარკა დღითიდღე ეცემა, ხოლო ზოგიერთ ადგილებში მის მიღებაზე სავსებით უარს აცხადებენ.

ოქროს სესხმა არ გაამართლა გერმანიის მთავრობის იმედები, რადგან სესხით სულ შემოვიდა 75 მილიონი მარკა.

რურის ოლქის მთელი მრეწველობა თანდათან გადადის უცხოელების ხელში.

სისხლის ღვრა სორაუში.

ბერლინი. 18 სექტ. იუწყებიან რომ სორაუში სერიოზული არეულობაა. (სორაუ სამრეწველო ქალაქია ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს). არეულობა ასე დაიწყო: მუშების დემონსტრაციამ, რომელიც ხელფასის მომატების გამო გაიმართა, ქალაქის თავს მოსთხოვეს მოეშორებინათ მათთვის პოლიცია, რომელიც დემონსტრანტების გასაფანტად გამოიყვანეს: ქალაქის თავმა მუშების მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა, მუშებმაც უარი სთქვეს დემონსტრაციის შეწყვეტაზე. პოლიციამ იარაღს მიჰმართა. მსუბუქად დაიჭრა 30 მუშა, მძიმედ დაიჭრა 15, მოკლულია 12 მუშა.

ბავარიის პრემიერ კიპლინგის განცხადება.

ბერლინი. 18 სექტემბერი. გლეხთა პარტიის კრებაზე ბავარიის პრემიერმა კიპლინგმა ეჭვი შეიტანა შტრეზემანის პოლიტიკის გამარჯვებაში. კიპლინგმა გადაჭრით უარჰყო ის ხმები, ვითომც ბავარიას განზრახვა ჰქონდეს გერმანიის სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოსვლისა. „პირიქით განაცხადა მან—გერმანიის მთლიანობის შენახვაა მოვალეობა მის შემადგენლობაში მყოფ ყველა რესპუბლიკებისა მაშინაც კი, თუნდაც გერმანიის დღევანდელი მთავრობა შესცვალოს უკიდურეს მემარცხენეთა ან უკიდურეს მემარჯვენეთა დიქტატურამ.

ფასების საზღაპრო ზრდა.

ბერლინი. 17 სექტემბერი. 18 სექტემბრიდან გერმანიაში რკინისგზის ტარიფი გადიდებული იქნება 500 პროცენტით. ბერლინში პურის ფასი აღწევს 6,300,000 მარკამდე—კილო.

მრეწველები მოითხოვენ გადასახადის შემსუბუქებას.

ბერლინი. 15 სექტემბერი. გერმანიის მრეწველთა კავშირმა გამოაქვეყნა რეზოლიუცია, რომელიც, წინააღმდეგ აგვისტოს კანონისა მწარმოებლებზე გადასახადის შესახებ, მოითხოვს გადასახადების შემსუბუქებას. ეს არის შედეგი მთავრობის დათმობის, რომელზედაც წავიდა ის ამ საკითხის გამო ბავარიაში.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი

ინგლისის ჯარები სტამბოლიდან გადიან.

ოდესა. 16 სექტემბერი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ინგლისის უკანასკნელი ჯარები ოსმალეთის მიწა-წყალს დასტოვებენ ოქტომბრის 5 ს. ოსმალეთის კორპუსი, ნური-ბეის სარდლობით, ოქტომბრის 4-ს დაიჭერს ქალაქს. მოკავშირეები ამთავრებენ საწყობებისა და დაწესებულებათა ევაკუაციას.

რუსი მეზღვაურნი სამშობლოსაკენ მიიწევენ.

ოდესა. 16 სექტემბერი. სტამბოლში რუსის მეზღვაურებმა უარი განაცხადეს რუსეთის გემების წაყვანაზე მარსელსა და პირეაში და მოითხოვეს, რომ ისინი სამშობლოში დააბრუნონ სტამბოლში 20 მეტი გემია რუსეთისა და ბევრი მათგანი დატყვევებულია, რადგანაც ამ გემების კომანდას ინახავს რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის საზოგადოება. სტამბოლში უმუშევრობა ძალიან იზრდება.

ინგლისელების გასვლა სტამბოლიდან.

ვენა 17 სექტემბერი. ანგორიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა სარდლობამ გალიპოლი დასტოვა. მარსელში მივიდა სტამბოლიდან გაყვანილი საფრანგეთის პირველი ეშალონი.

პალესტინა

მეამბოხეთა მოძრაობა პალესტინაში.

ლონდონი. 18 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, მეამბოხეებმა ალყა შემოარტყეს ტრანსიორდანეს დედაქალაქს ამნაკს და შესწყვიტეს სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი.

მოკავშირეთა ჯარების ევაკუაცია.

ბერლინი. 16 სექტემბერი მოკავშირეთა ჯარები შეუდგნენ გალიპოლის ევაკუაციას.

პარიზი. 16 სექტემბერი. ბერძნებმა გადასცეს ოსმალეთის ხელისუფლებას კარაგაჩი.

ბერლინი. 16 სექტემბერი. მარსელში ჩავიდენ საფრანგეთის პირველი ტრანსპორტები სტამბოლიდან გაყვანილ ჯარებით.

რომი. 16 სექტემბერი. ბრინდიზში დაიწყო იტალიის საოკუპაციო ჯარების პირველი ეშელონის გადასხმა, რომელიც გაყვანილია სტამბოლიდან.

ამხ. ჩიჩერინის ნოტა პუანკარესადმი

რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარის პროტესტი საფრანგეთის მოქმედების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 18 სექტემ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა იტალიაში მყოფ სრულ უფლებიან წარმომადგენელს იორდანსკის და ლონდონში მყოფ სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილე ბერევინს აცნობა, რომ საფრანგეთის მთავრობას ძალმომრეობით მიჰყავს სტამბოლიდან ვრანგელის მიერ შავი ზღვიდან წაყვანილი რუსეთის გემები. აღნიშნავს რა, ამ გარემოების გამო საფრანგეთის მთავრობისათვის გაგზავნილ პროტესტს, ჩიჩერინი ხაზს უსვამს, რომ საბერძნეთ-ოსმალეთის დროებითი ზავის დადების შემდეგ, მოკავშირე სახელმწიფოები საზიაროდ ბატონობენ სრუტეებში, რის გამოც საშუალება აქვთ ნება არ მისცენ რუსეთის ხალხის ინტერესთა დარღვევისა. ჩიჩერინი წინადადებას აძლევს თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებს ლონდონსა და რომში, რათა პროტესტით მიჰმართონ სათანადო მთავრობებს, საფრანგეთის მთავრობის მოქმედების გამო და მოსთხოვონ საქმეში ჩარევა.

გემების ბედი.

მოსკოვი. 16 სექტემბერი. პუანკარესადმი მიმართულ ნოტაში ს. ს. რ. კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარი იუწყება, რომ საფრანგეთის საზღვაო ხელისუფლები აგზავნიან მარსელში სტამბოლში მყოფ რუსეთის სავაჭრო გემებს, რომელნიც გაყვანილი იყვნენ თავის დროზე შავიზღვიდან რუსეთის მოღალატეების მიერ. ს. ს. რ. კავშირის მთავრობა იმედოვნებს, რომ საფრანგეთის მთავრობა აკრძალავს ამ ახალ მტრულ, მტაცებლურ აქტს. სტამბოლიდან გაყვანილ რუსეთის გემების ყიდვა-გაყიდვას ან იჯარით გაცემას, ს. ს. რ. კავშირის მთავრობის თანხმობის გარეშე, არ ექნება ძალა. ს. ს. რ. კავშირის მთავრობა მოითხოვს ამ გემების დაუყოვნებლივ დაბრუნებას და სთვლის საფრანგეთის მტრულ აქტს რუსეთის ინტერესების დარღვევად, რისთვისაც პასუხისმგებლობას აკისრებს იმ მთავრობას, რომელმაც ეს მტაცებლობა დაადასტურა.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

რუსეთ-შვეციის ურთიერთობა.

მოსკოვი. 16 სექტემბერი, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, ამხ. კრასინმა განაცხადა: თუმცა წარსულ წლებში საბჭოთა რუსეთს ასეულ მილიონობით კრონის შეკვეთილებანი ჰქონდა შვეციაში, მაგრამ ამჟამად შვეცია გულგრილად ეკიდება ამ ორ სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ურთიერთობას და არავითარ დათმობაზე არ მიდის არც ფასებში, არც ვადის მოცემაში, არც ნისიათ დათმობაში, არც ფასდადებით გამოგზავნაში და მოითხოვს, რომ დაკვეთისათანავე დიდი ბე მივცეთ ამთავითვე. სხვა სახელმწიფოები კი ამავე დროს, ნისიად გვიწდობიან, ჩვენს შეკვეთილებს ღებულობენ, ნაწილ-ნაწილად გადახდის ხანგრძლივ ვადას გვაძლევენ. შვეციის მთავრობა კი დღევანდლამდე ჯიუტობს საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების დადებას. ამის გამო საკავშირო რესპუბლიკის მთავრობამ გადასწყვიტა შეაჩეროს შვეციის ფირმებისათვის დაკვეთილ საქონლის ანგარიშში ფულის ძლევა. თუ შვეციის მთავრობა კვლავაც უარს იტყვის სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგებაზე, მაშინ ჩვენ მოგვიხდება შვეციაში სავაჭრო აპარატების შემცირება და შესაძლოა სრულიად გაუქმება და უკან გაწვევა.

შვეციის საექსპორტო დელეგაციის თავმჯდომარე მოსკოვში.

სტოკჰოლმი. 15 სექტემბერი. ინჟინერ იანსონის მაგივრად შვეციის საექსპორტო კავშირის დელეგაციის თავმჯდომარედ მოსკოვში დაინიშნა, შვეციის საელჩოს მოკავშირედ ნამყოფი ფეინდენშტამი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ფეინდენშტამი კარგად იცნობს რუსეთის ცხოვრებას, რადგანაც დიდხანს უმსახურნია პეტროგრადში მყოფ შვეციის საელჩოში.

საბჭოთა რესპუბლიკების ცნობის წინ.

პეკინი. 15 სექტემბერი. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რომ ამხ. კარახანისაგან მიიღო რწმუნების სიგელი. ამან ძალიან შეაშფოთა პეკინში მყოფი უცხო სახელმწიფოთა იმპერიალისტები. უცხოეთის კორესპონდენტების შეკითხვაზე,—ნიშნავს თუ არა ეს გარემოება საბჭოთა რუსეთის ცნობას,—საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა: ჩინეთი განაგრძობს რუსეთის ცნობას დეფაქტო, ხოლო დე-იურედ ცნობის საკითხს განიხილავს საბჭოთა რუსეთისა და ჩინეთის კონფერენცია. „ფარ ისტერნ-ტაიმს"-ის აზრით, რუსეთის ცნობა ლოღიკური შედეგია რწმუნების სიგელის მიღებისა და დასძენს, რომ ეს ცნობა ხელს შეუწყობს მთელრიგ ძირითად საკითხების გადაწყვეტას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზისას. გაზეთი განცვიფრებულია, რომ ჩინეთში მყოფი ამერიკის წარმომადგენელი შერმანი აშკარად უახლოვდება ჩინეთის უკიდურეს რეაქციონერებს იმ დროს, როდესაც რუსეთი და ჩინეთი მზად არიან ერთმანეთს შეუთანხმდნენ.

ერთიანი ფრონტი

მოლდორფის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია შეუერთდა გერმანიის კომპარტიას.

მოსკოვი. 18 სექტემბერი. კომინტერნის ცნობების მიხედვით, მოლდორფის სოციალ დემოკრატიული ორგანიზაცია შეუერთდა გერმანიის კომპარტიას. ახალი ორგანიზაციის დამფუძნებელ კრებაზე რუსეთის მუშების სახელით მისალმებით გამოვიდა გემ „კამო"-ს რუსი მეზღვაური. რეზოლიუციაში ორგანიზაცია დაპირებას იძლევა მიმართოს მთელი ენერგია გერმანიაში მუშათა რესპუბლიკის შექმნისაკენ.

შეთანხმება ტიურინგიის ესდეკებს და კომუნისტებს შორის.

ბერლინი. 18 სექტემბერი. ტიურინგიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ის აცხადებს, რომ ის თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება კომუნისტებთან შეთანხმების პროგრამის შესამუშავებლად, მუშათა მთავრობის შექმნის მიზნით, არჩეულია სპეციალური კომისია მოლაპარაკებისათვის.

საპასუხო მოწოდებაში ტიურინგიის კომპარტიის საოლქო კომიტეტი თანხმობას გამოსთქვამს შექმნას, სოც.-დემოკრატებთან ერთად, მუშათა და გლეხთა მთავრობა იმ პირობით, თუ უკანასკნელი დამყარებული იქნება პროლეტარულ ორგანიზაციებზე. კომპარტია მოითხოვს მოწვეულ იქნეს დაუყოვნებლივ ფაბრიკა - ქარხნების კომიტეტების და სასოფლო - სამეურნეო მუშების კონგრესი, რათა შემუშავებული იქნეს ახალი მთავრობის შექმნის პროგრამა, მოეწყოს წარმოებებში პროლეტარული რაზმები, დაარსებულ იქნეს საკონტროლო კომისიები აღმასრულებელი უფლებებით, რათა ხდებოდეს განსაკუთრებული მეთვალყურეობა რკინისგზებზე ფაშისტების გადაჯგუფებისათვის ხელისშეშლის მიზნით და გაუქმებულ იქნენ ყველა განკარგულებანი, რომლებიც მიმართული არიან რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში მოწოდება მოითხოვს განძეულობათა კონფისკაციას და რეიხსტაგის გაშვებას.

უკვე იმედი გაუცრუვდათ.

ბერლინი, 17 სექტემბერი. მესსენის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია, შტრეზემანის მთავრობის სრული გაკოტრების გამო, დაჟინებით მოითხოვს სოციალ-დემოკრატების გამოსვლას მთავრობის შემადგენლობიდან.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

რუმინეთი

საგაფიცვო მოძრაობა მთელ ქვეყანას მოედო.

ვენა. 16 სექტემბერი. დოკერების გაფიცვა რუმინეთში კონსტანციდან სხვა ნავთსადგურებშიც—გალაცს ბრაილოვში და სხვაგან გავრცელდა. მთავრობა სცდილობს შტრეიკბრეხერების საშუალებით ჩააქროს საგაფიცვო მოძრაობა.

კომუნისტების მასიური დაპატიმრება.

პარიზი. 17 სექტემბერი. სოფიიდან იუწყებიან, რომ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში მარტო სოფიაში დაპატიმრებულია 132 კომუნისტი. მასსიური დაპატიმრება სწარმოებს აგრეთვე პროვინციებშიაც.

ბულგარეთი

ბულგარეთის კომპარტიის დარბევა.

ვენა. 15 სექტემბერი. ბულგარეთის მთავრობამ დაარბია ბულგარეთის კომპარტია, რომელსაც ბრალს სდებდა გადატრიალებისათვის მზადებაში და შეიარაღებულ რაზმების მოწყობაში. პოლიციამ დაიკავა პარტიის ბიურო, ჩამოართვა ქაღალდები და დააპატიმრა პარტიის 40-დე ბელადი, უმეტესათ ყოფილი დეპუტატები. მოხდება დაპატიმრება და კონფისკაცია პროვინციებში. კომუნისტური ორგანოები დახურულია. კომუნისტური აგიტაცია აკრძალულია.

ლატვია.

ტრამვაის მუშებმა გაიმარჯვეს.

რიგა. 17 სექტემბერი. ტრამვაის მუშათა გაფიცვა დასრულდა. მუშებს მოუმატეს ხელფასის 10 პროც. და მისცეს გაფიცვის დღეების ხელფასიც.

ინგლისი.

რუსეთის სარგებლიანი ქაღალდები მაღლა იწევს.

ლონდონი. 17 სექტემბერი. ლონდონის ბირჟაზე თვალსაჩინოდ იწევს რუსეთის სარგებლიანი ქაღალდები. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ხმელეთზე დიდი გარიგებანი ხდება რუსეთის ფასიან ქაღალდებზე, განსაკუთრებით საფრანგეთში.

ხელფასის შემცირება.

ლონდონი. 14 სექტ. იორკშირსა და შოტლანდიაში ხელფასი შეუმცირეს ქვანახშირის მაღაროების მუშებს. უელსსა და ზემო-ნორტუმბერლანდში კი ხელფასი გადიდეს. მწარმოებლების მიერ დაპირებული მომატება ხელფასის მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ წარმოებითი უნარი აიწევს. მემაღაროელთა ფედერაციისა და მაღაროს მფლობელთა თათბირი ოქტომბრამდე გადაიდო, საცხოვრებელ განაკვეთის შემცირებამდე. ამერიკის ქვანახშირის მაღაროს მუშათა გაფიცვის დასრულებამ გული გაუტეხა მაღაროს მფლობელთა და გემის პატრონებს.

კომუნისტების დაპატიმრება სოფიაში.

ბერლინი. 18 სექტემბერი. სოფიაში მოხდა არეულობა, რის გამოც დაპატიმრებულია 30 კომუნისტი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

უმუშევრობასთან ბრძოლა.

სოხუმი. 15 სექტემბერი. აბხაზეთის კავშირი წარმოებითი კოოპერატივს აარსებს უმუშევრობასთან საბრძოლველად.

აჭარა

სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

ბათომი. 15 სექტემბერი. სასტატისტიკო მთავარ ბიუროს ცნობით აჭარის მაზრებში სასოფლო-სამეურნეო აღწერა სრულებით მოთავდება სექტემბრის 20-დე.

ბრძოლა მოსავლის მტრებთან.

ბათომი. 15 სექტემბერი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში ამ დღეებში მოელის საპონავსთ, რომელსაც დაურიგებს აჭარის მშრომელ მოსახლეობას.

სასკოლო აღმშენებლობა

ბათომი. 14 სექტემბერი. აჭარის განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა, მომავალ სამოსწავლო წლიდან გახსნას 20 ახალი სკოლა სოფ. ცხომარისში, მერისში, ილისე-ოლლში და სხვა. დადგენილია, დაარსდეს განსაკუთრებული კომისია სკოლების შეკეთების ადგილობრივ გამოსარკვევად, ახალი სკოლების გასახსნელად და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად.

უფასო სწავლა.

ბათომი. 14 სექტემბერი. აჭარის განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, სწავლის ფული გადაიხდება მხოლოდ პოლიტექნიკუმისა და მეორე საფეხურის სკოლის მოწაფეებს. დანარჩენ სასწავლებლებში სწავლა უფასოთ იქნება.

ამხ. სმირნოვი აჭარაში.

ბათომი. 14 სექტემბერი. რუსეთის ს. ს. ფ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, ამხ. სმირნოვი, ჩაქვისა და სალიბაურის სახალხო მამულების დათვალიერების შემდეგ, აჭარის მიწადმოქმედების კომისართან ერთად, ხულოში გაემგზავრა, მაზრებში სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის გასაცნობად, ამხ. სმირნოვის სექტემბრის 16-ს ბათომში დაბრუნდება.

აზერბეიჯანი.

„26"-ის ხსოვნას.

ბაქო. 17 სექტემბერი. სექტემბრის 19-ს მოხდება ბაქოს საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა, სუბნო საბჭოთა, პროფკავშირთა, არმიის ფლოტის და პროლეტარიატის ყველა ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა, ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის 5 წლის თავისა და გერმანიის ამბების აღსანიშნავად.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 18 სექტემბერი. სექტემბრის 8-11 განმავლობაში ბაქოს ყველა ნავთის სამრეწველოებში ამოუღიათ 2,374000 ფ. ნავთი. საქაჩავში მიუშვიათ 1,392,000 ფ. საქაჩავიდან მიუღიათ 1,376,000 ფ. დაწმენდილა 223,000 ფ. ბურღვაში იყო 171 ჭა, ჩაბურღულია 352 საჟ.

სომხეთი.

სომხეთი გამოფენაზე.

ერევანი. 17 სექტემბერი. სექტემბრის 13-ს სრულიად საკავშირო გამოფენაზე გაიგზავნა ერთი ვაგონი ექსპონანტები, საბჭოთა სომხეთის სამიწადმოქმედო პავილიონის შესავსებად. სექტემბრის 16-ს კიდევ იგზავნება გამოფენაზე სახელმწიფო საჭაბტვრო-სატეხნიკო სახელოსნოს ნიმუშები: ვერცხლის ფინჯნები, სურები და საინები 12 ფიალით.

სომხეთის საგამოფენო კომიტეტმა გამოფენის მთავარ კომიტეტისაგან მიიღო დეპეშა, რომლითაც იტყობინება, რომ სექტემბრის 9-ს გახსნილი სომხეთის პავილიონი საუკეთესო ნიმუშად ითვლება და ბევრს ხალხს იზიდავს.

ახალ-ბაიაზეთის მაზრაში.

ახალ-ბაიაზეთი. 17 სექტემბერი. ამ ზაფხულის ჰავის გავლენის გამო, ახალ-ბაიაზეთის მაზრის ეკონომიური მდგომარეობა მძიმეა. მოსავალი საშუალოზე ნაკლებია.

ჩვენი საჰაერო ფლოტისათვის

ცირკულიარულად

ძვირფასო ამხანაგებო!

უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც ამჟამად აკუთვნებენ ავიაციის განვითარებას მთელ მსოფლიოში და ის ამოცანები, რომელიც უნდა იქნას შესრულებული მისი შემწეობით, გვაიძულებს განსაკუთრებული ყურადღებით და სერიოზულობით მოვეპყრათ საჰაერო ფლოტის შექმნის ამოცანებს. მომავალი ომების ბედი ჰაერში გადასწყდება და გაიმარჯვებს ის, ვისაც უფრო ძლიერი საჰაერო ფლოტი ეყოლება.

საფრანგეთს, გერმანიის პროლეტარიატის ამ სულთამხუთავს, ჰყავს ამჟამად ყველაზე უფრო ძლიერი საჰაერო ფლოტი.

მსოფლიო მასშტაბით მომხდარმა ამბებმა უნდა მოგვისწროს ჩვენ მომზადების და ბრძოლის უნარის მქონეთ.

ავიაციის მეორე ამოცანა არის სივრცეზე გამარჯვება, რასაც აქვს ჩვენთვის არა ნაკლები მნიშვნელობა და ეს ორივე უმნიშვნელოვანესი ამოცანები გადაწყვეტილი იქნება ჩვენ მიერ მხოლოდ მაშინ, როცა პარტიის თვითეული წევრი ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას საჰაერო ფლოტის შექმნაში. ჩვენ უნდა გვყავდეს თვითმფრინავთა და ჰაეროდრომების საკმაო რიცხვი, უნდა ვიცოდეთ აპარატების აშენება, უნდა გვყავდეს მომზადებული სპეციალისტები: ჩვენ უნდა ჩავაბათ აქტიურ მუშაობაში ყველა ვისთვისაც ძვირფასია ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვრები, ვინც პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის დაწყებულ კონფლიქტში ილტვის მუშების სრული გამარჯვებისაკენ, და ამ გამარჯვების განმტკიცებისაკენ მძლავრი საჰაერო ფლოტის შექმნით!

ამხანაგებო! ტფილისში დაარსდა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილება. ეს საზოგადოება მიზნათ ისახავს საშუალებათა შეკრება კონცენტრაციას, აპარატების შეძენას პირველ რიგში სამხედრო ავიაციისათვის, ჰაეროდრომების მოწყობას, სამეცნიერო კლუბის, წრეების მოწყობას ავიოცოდნის ფართოდ გავრცელებას ლექციების საშუალებით და სხვა.

პარტიის ყველა წევრებს წინადადება ეძლევათ ჩაეწერონ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრებათ და აწარმოვონ ფართო აგიტაცია უპარტიოთა შორის, რათა დააინტერესონ ისინი და ჩააბან საბჭოთა საჰაერო ძლიერი ფლოტის შექმნის საქმეში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი
გ. ივანოვი.

ტფ. კომიტეტის სააგიტ-საპროპ. განყ. გამგე—მ. ესხენი.

სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის მე-6-ე ყრილობა

მეორე დღე. დილის სხდომა

დილის სხდომა მთლიანად შეეხებოდა ახ. კომ.-კავშირის ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გარშემო აღძრულ კამათს, რომელიც მეტისმეტი სიცხოვლით მიმდინარეობდა. აღნიშნული იყო, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები ცენტ. კომიტეტის მუშაობისა. რეზოლიუციის მიღება გადიდო ყრილობის უკანასკნელი სხდომისთვის.

საღამოს სხდომა.

ამიერ-კავკასიის რაიონულ კომიტეტის მდივანმა ამხ. ჩაპლინმა გააკეთა ვრცელი მოხსენება ა.-კავ. სარაიონო კომიტეტის მუშაობისა და მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ.

მუშათა ახალგაზრდობის ცენტრი—ბაქოა, სადაც 5.500 მოზარდი მუშაა, რის გამოც იგი ახალგაზრდობის მტკიცე და ურყევ დასაყრდნობად ჩაითვლება.

ტფილისში კომკავშირში 1.500 მოზარდი მუშაა, ხოლო რკინისგზაზე მუშაობს 584 ახალგაზრდა. ახალგაზრდა მუშაკთა გაწესრიგება (Броня) რკინისგზაზე უნაკლოა და სავსებით არის გატარებული.

მუშა-ახალგაზრდები (18 წლამდე) მოზრდილ მუშებთან პროცენტულ შეფარდებით უფრო მეტს ხელფასს ღებულობენ, ვიდრე ომის წინა დროს.

უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდობის მიმართ შრომის დაცვის კანონების დარღვევას ნაკლებათ აქვს ადგილი.

დიდი წარმატებით ტარდება ცხოვრებაში ფაბ-ზავკომების უჯრედთა შეფობა კერძო-წარმოებათა უჯრედებზე.

უმუშევრობის ზრდა სწარმოებს უმთავრესად სოფლისა და საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურე მოზარდთა ხარჯზე.

ბაქოში სოციალური დაზღვევა ვრცელდება წარმოებაში მუშათ ნამყოფ ყველა ახალგაზრდებზე, დაზღვეულია აგრეთვე 10 პროცენტი იმ ახალგაზრდების, რომელთაც წარმოებებში არ უმუშავნიათ.

ბაქოში 11 საფაბრიკო-საქარხნო სკოლაა, რომელთაგან 9 სკოლა უშუალოდ თვით წარმოებასთან არის მოწყობილი.

ეწყობა სასოფლო-სამეურნეო სკოლა საქარხნო სკოლების ტიპისადაგვარად. სოფლის კომუნისტურ ახალგაზრდობის მიმართ ჩვენ გვაქვს ნაწარმოები დიდი მუშაობა დ შეძენილია დიდი გამოცდილება, თუმცა ამ მუშაობის შედეგი სავსებით შესწავლილი არ არის.

მოსწავლე ახალგაზრდობა ჩვენ მიერ სავსებით დაპყრობილია.

საჭიროა გავაჯანსაღოთ აქტიურ მუშაკთა კადრი.

აუცილებელია წითელ არმიასთან და ფლოტთან კავშირის გაღრმავება და გაფართოვება.

გამომცემლობის მხრივ საქმე ჩინებულად გვაქვს დაყენებული.

სომხეთში გამოდის მუდმივი გაზეთი და ჟურნალი თათრულ და სომხურ ენებზე.

ბავშთა მოძრაობა ყველაზე უკეთ არის დაყენებული სომხეთში. ამ ჟამად იქ გვყავს 6 ათასი მომავალი სპარტაკელი.

ჩვენი მომავალი მუშაობის ძირითადი ამოცანებია—შევისწავლოთ, სისტემაში ჩამოვაყალიბოთ და გამოვიყენოთ სოფლად წარმოებული მუშაობით მიღებული გამოცდილება; გავავითაროთ მედგარი, სისტემატიური პოლიტმუშაობა მუშა-ახალგაზრდობის რიგებში, მოვაწესრიგოთ კავშირის წევრთა რაოდენობის მუდმივი და ძალდაუტანებელი გადიდების საქმე; მოვამზადოთ აქტიურ მუშაკთა კარგი კადრი; დავამყაროთ მჭიდრო კავშირი წითელ არმიასა და ფლოტთან და, დასასრულ, მოვაწესრიგოთ პარტიაში გადასვლის საქმე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი და საღამოს სხდომა ამით დამთავრდა.

პარტიული ცხოვრება

შეფობა სოფლის კომუჯრედებზე.

ის გეგმა, რომელიც გამოიმუშავა ფოთის პარტკომმა ქალაქის კომუჯრედების შეფობის მიღების შესახებ სოფლის კომუჯრედებზე, განხორციელებულ იქნა პირველს და ორ სექტემბერს ნაწილობრივ.

პირველ სექტემბერს გადამტვირთველთა კავშირის კომუჯრედი, რომელმაც მიიღო შეფობა ახალსოფლის კომუჯრედზე, მწყობრად, მუსიკით გაემგზავრა ახალ-სოფელში სოფლის დათვალიერების შემდეგ გაიმართა მიტინგი, სადაც გადამტვირთველთა კავშირის კომუჯრედის სახელით, მისმა პ—მგებელმა მდივანმა განუმარტა მსმენელებს შეფობის მნიშვნელობა და კომუჯრედის სახელით პირველად გამოუწერა მათ სამი გაზეთი „კომუნისტი", „მიწის მუშა" და „მუშა". აგრეთვე გადასცა ასი მილიონი ფულად სკოლის სასარგებლოდ. ამით არ ამოიწურება ჩვენი დახმარებაო განაცხადა მან—ჩვენ ყოველივე დახმარებას გაგიწევთ გზების გაკეთებაში, სკოლის შენობის აგებაში და სხვა. უმთავრესი ჩვენი მიზანი კი კულტურული დახმარებააო.

შემდეგ ილაპარაკეს პარტკომის მდივანმა და სხვა ამხანაგებმა. მათ უპასუხეს გლეხებმა, რომლებმაც დიდი მადლობა გადაუხადეს ყველა ამხანაგებს. ერთმა მათგანმა განაცხადა—დღეს ეძლევა გლეხთა დ ქალაქის მუშათა კავშირს მტკიცე საფუძველი. 1921 წელს ქალაქის მუშებს შიოდა და ჩვენი მოყვანილი პური და სხვა ჭირნახული ძვირი ღირდაო. ქალაქის ნაწარმოები კი იაფი იყო. მაშინ ქალაქის მუშები მტრულად გვიყურებდნენ ჩვენ, შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ქალაქის ნაწარმოები ვაძვირდა პური და სიმინდი გაიაფდა. რასაკვირველია, ეს არ არის არც მათი და არც ჩვენი ბრალიო. აქ სულ სხვა რამ არის დამნაშავეო.—მან უსურვა, რომ გლეხი და ქალაქის მუშა მჭიდროდ დაკავშირებოდენ ერთმანეთს, და მაშინ ამ ძლიერ კავშირს ვერავითარი მტერი ვერ დაამარცხებსო.

ორ სექტემბერს ადმასკომის და მეზღვაურთა კომუჯრედები გაემგზავრენ რედუტ-კალეში და რკინისგზას კომუჯრედი ჭალადიდში. ამ კომუჯრედებმა მიიღეს მონაწილეობა ახალგაზრდა კომკავშირის ორ სექტემბრის დღესასწაულის ჩატარებაში და გაეცვნენ დაახლოვებით თავის საშეფო სოფლებს. ამ დღეებში ისინი გაემგზავრებიან სათანადო მომზადებით კავშირის განსამტკიცებლად.

პ. მეგრელიშვილი

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(18 სექტემბერი).

ჩერვონცები — — —	46,750
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	43,700
„ ჩეკები —	42,500
დოლარები ეფექტ. —	9,500
„ ჩეკები —	8,500
ოსმ. ქალ. ლირა	6.100
საბჭ. ფულის ნიშნები	16,5

მუშკოპის ფასები.

(18 სექტემბერი).

(ჩერვონეცის კურსი—46,300 ათ.)

პური 2 ხარ. გირ.	—180.
ფხვნილი შაქარი	—1995 ათ.
შაქარი — რაფ.	— 2455
ბრინჯი —	— 46.5
ძროხის ხორცი	— 1200
ცხვრის ხორცი	— 1500

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა პარასკევს, 21 სექტემბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი შეიძლება შეიმუშავონ თვით რაიკომებმა და იაჩეიკებმა და შეიტანონ წესრიგში საკითხი იაჩეიკის წევრთა პოლიტიკური ცოდნის შემოწმების შესახებ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი ივანოვი.

ახალი ჟურნალი

ამ ახლო ხანში იწყებს გამოსვლას
ორკვირეული ანტირელიგიური ჟურნალი,
ორგანო კომ. პარტ. ცენტრ. კომიტეტისა.
ყველა მასალები უნდა გამოგზავნილი იქნას ც. კ. სააგიტ-პროპ. განყოფილებაში ამხ. **ორაგველიძესთან.** რუსთაველის ქუჩა № 22.

ოთხშაბათს, 19 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე
ტფილისის აღმასკომის შენობაში (ოთახი № 10) შესდგება

ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილების საბჭოს სექციის სხდომა.

სხდომაზე დასწრება სექციის ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

ტფილისის ბაზრის ფასები
(18 სექტემბერი.)

პური 1 ხარ. — 400 ათ.
პური 2 ხარ. —200—300.
ფხვნილი შაქარი—2100—2200.
შაქარი რაფინადი—2,600—2750.
ბრინჯი 550 ათ.
ძროხის ხორცი—1250 ათ.
ცხვრის ხორცი—1500 ათ.

ბირჟის მიწოდება.
(18 სექტემბერს).

მაკარონი და ვერმიშელი. ფქვილი ვლადიკავკავის. ფხვნილი შაქარი. მატყლი. ბოთლები. კაუსტიური სოდა.

ბირჟის მოთხოვნილება.
(18 სექტემბერი).

სამუშაო ფეხსაცმელები თეთრეულის საქონელი. სპილენძის მავთულები, ნედლი ტყავი ცემენტი ტომრები.

საქონლის ბაზრის განწყობილება.
(18 სექტემბერი)

თვალსაჩინო ცვლილება არ არის. დაეცა შაქრის ფასი. დანარჩენ ბაზარზე განწყობილება შესუსტებულია.

ოფიციალური გარიგებანი
(18 სექტემბერი)

საშენი ლურსმანი ფუთი 9 მან. ჩერ. ყუბანის ფქვილი 1 ხარ. ფუთი—1 მ. 97 კაპ. ჩერ.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.
(18 სექტემბერი.)

ჩერვონეცზე მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდებას. დანარჩენ ვალიუტაზე მოთხოვნილება შესუსტებულია. საბჭოთა ფულის ნიშნებზე დაბალი კურსია.

ბირჟის გარეშე გარიგება.

17 სექტემბერს მოხდა 16 გარიგება ბირჟას გარეშე 159046,43 ჩერ. მან. რაოდენობით.

სესხის მიცემა ადგილობრივი კოოპერაციისათვის

საკოოპერაციო მუშაობის წარმატებით ჩასატარებლათ ადგილებზე საჭიროა მოქნილი და ძლიერი აპარატი, რომელსაც შეეძლება ცენტრიდან მიღებული დავალებების შესრულება. 1920—22 წლის პერიოდში კა კოოპერაცია პერიფერიებში ღარიბდებოდა და ეცემოდა. მან აილო წმინდა სამომხმარებლო მუშაობის ხაზი და ამიტომ ქაღალდის ფულის კურსის დაცემისა და საქონლის ბრუნვის შემცირების გამო ის თანდათან ღარიბდებოდა. ამიტომ პირველ ამოცანათ წამოყენებულ იქნა ადგილებზე კოოპერატიულ ორგანიზაციების მატერიალურათ გამაგრება. კრედიტები, რომელიც მიღებული იყო ადგილობრივი კოოპერაციის მიერ ცეკავშირის, ცენტროსოიუზის, სახელმწიფო ბანკის, ტრესტების და სხვებისაგან ცეკავშირის საშუალებით იქნა პერიფერიებისათვის კრედიტების მისაწოდებლათ. მაგალითად ადგილობრივი კოოპერაციის დავალიანება 1923 წ. 1 აგვისტოს შეადგენდა 191653,49 მანეთს.

განზრახულია ამ კრედიტის გადიდება 500,000 მანეთამდე. ამრიგათ, აწვდის რა საშუალებებს ადგილობრივ კოოპერაციას, ცენტრი აძლევს მას გარკვეულ დავალებებს სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გასანაღდებლათ.

კოოპერაციას ადგილებზე შეუძლია თავიდან აიცილოს ზარალი ქაღალდის ფულის დაცემის გამო, მხოლოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით გადახდის გზით. გლეხებისათვის მათი საქონლის სრული ექვივალენტის ფაბრიკატებით დაბრუნება შექმნის სოფლის ეკონომიური ცხოვრების იმ ნამდვილ ცენტრს, რომლის გარშემო მცხოვრებლები სიამოვნებით შემოიკრიბება და მას მიანდობს თავის სამეურნეო ინტერესების დაცვას.

ცეკავშირში.

ამჟამად სწარმოებს მატყლის დამზადება. საგაზაფხულო გაკრეჭიდან მიღებულია 1.750 ფ. შემოდგომისათვის განზრახულია 10,000 ფუთის დამზადება.

ხოლო შეკრებილია 70,000 ფუთამდე თხილი—150,000 ფ. ნატურალური ჩაი—40,000 გირ. და მოცვის—5000 ფ. ყველა ამ დამზადებაში დაცულია მწარმოებელის დაინტერესების პრინციპი რეალიზაციიდან მისალებ სარგებელით და ამას ეძლევა საქონლის კოოპერაციული განაღდების ხასიათი; აქ არ ხდება პროდუქტების შესყიდვა გლეხებიდან კერძო ვაჭრებთან თანაბრად.

კოოპერაცია

მთლიან მომხმარებელ საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა ზესტაფონის მაზრაში

21 აგვისტოს, ქ. ზესტაფონში შესდგა ზესტაფონის რაიონის მთლიან მომხმარებელ საზოგადოების „ეპოს“ რწმუნებულთა ყრილობა, რომელზედაც გამოცხადნენ 45 რწმუნებული შემდეგი ქალაქიდან და თემებიდგან. ქალ ზესტაფონიდან, ზედა-საქარის, არგვეთის, ქვ. საქარის დილიკაურის, კვალითის, ალავერდის, კლდეთის და ტაბაკინის თემებიდან. ყრილობის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ალექსი ნიკურაძე, მდივნათ კ. დევდარიანი, ტაშისცემით საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ: ამხ. ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია და მალ. ტოროშელიძე. მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი.

1) კოოპერაცია და მისი ორგანიზაცია;
2) მთლიანი მომხმარებელ საზოგადოების „ეპო“-ს წესდების განხილვა და დამტკიცება;
3) განყოფილების დაარსება;
4) საწევრო გადასახადის განსაზღვრა;
5) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები;
6) მიმდინარე კითხვები;

პირველ კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს კავშირის ინსტრუქტორი ამხ. ივ. ლუტიძე, რომელიც ვრცლად ეხება კოოპერატიულ მოძრაობას საერთოდ და კერძოდ საქართველოში. მომხსენებელი აცნობს ყრილობას ახალ გეგმას კოოპერატიულ მშენებლობისა.

განხილვის შემდეგ იქნა დამტკიცებული მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოების წესდება.

საწევრო გადასახადი დაწესდა ორი ჩერვონული მანეთის, აქედან ერთი მანეთი შემოტანილ იქნება ჩაწერის თანავე, მეორე მანეთი კი ორი თვის შემდეგ.

გამგეობის წევრებათ კრება ერთხმად ირჩევს შემდეგ ამხანაგებს:

1. ალექსი ნიკურაძეს, 2. ნიკოლოზ საყვარელიძეს და ვ. შ. თუთბერიძეს.

კანდიდატებათ—შ. ყანჩაველს და გრ. მღვდლაძეს.

სარევიზიო კომისიაში:

1. ცუცქირიძეს, გოლაძეს და ჩუბინიძეს; კანდიდატებათ ნებიერიძეს და ბუცხრიკიძეს.

ყრილობამ დაადგინა ეთხოვოს ცეკავშირს, რათა ქ. ზესტაფონში შორაპნის მაზრისთვის გახსნას თავისი განყოფილება.

ე—რ.

კულტმუშაობაში

ს. პ. ქ. ს. კულტგანყოფილებაში

მუშფაკის მსმენელები.

კულტ-განყოფილებამ მუშათა ფაკულტეტზე გაგზავნა კავშირის ექვსი წევრი, ხოლო უმაღლეს სასწავლებელში კავშირის 15 წევრი.

სკოლა მუშებისთვის.

პრეზიდიუმმა დაავალა კულტგანყოფილების გამგეს ამხ. ზენდუქიძეს გახსნას წერა-კითხვის უცოდინართათვის სკოლა სახელმწიფო საჯინიბოში, სადაც 37 წერა-კითხვის უცოდინარი მუშა მსახურობს.

სამკითხველოს გახსნა.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კულტგანყოფილებას საჩქაროთ მოაწყოს სახელმწიფო საჯინიბოში სამკითხველო მუშებისათვის და შეიძინოს საჭირო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

კლუბი და მუკუზანის მამული მუშებისთვის.

პრეზიდიუმის დადგენილებით, კულტ-განყოფილების გამგეს ამხ. ზენდუქიძეს წინადადება მიეცა საჩქაროთ გახსნას კლუბი მუშებისათვის წინანდალის და მუკუზანის სახალხო მამულში.

თიანეთის მაზრა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის სამდივნოს დადგენილების თანახმად, თიანეთის საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის სამაზრო განყოფილება გაუქმებულად გამოცხადდა და მის მაგივრად უნდა დაარსდეს მთლიანი ადგილობრივი კომიტეტი, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება თელავის სამაზრო საბჭოთა მუშაკების პროფკავშირს.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად ცენტრალურმა გამგეობამ წარმოგზავნა თიანეთში თავის პასუხისმგებელი ინსტრუქტორი ამხ. კ. ღლონტი, რომელიც თელავის საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის მდივან ამხ. ხაჩიძესთან ერთად ჩამოვიდა თიანეთში 30 აგვისტოს.

საბჭოთა მუშაკების პროფკავშირთა საზოგადო კრებაზედ ამხ. კ. ღლონტმა გააკეთა მოხსენება კავშირის და ადგილკომების ამოცანების შესახებ.

შემდეგ უმუშევართა საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხაჩიძემ და მოუწოდა კრებას, რათა უკანასკნელმა გაუწიოს დახმარება უმუშევართა რიგებს.

კრებამ ერთხმად დაადგინა: მიღებულ იქნას დახმარება პირველ აგვისტოდან სისტემატიურად ყოველ თვეში, გასამრჯელოს 1 პროც. რაოდენობით, რომელიც უნდა გადაიგზავნოს ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ უმუშევართა ფონდის სალაროში.

ამხ. ღლონტის ინფორმაციული მოხსენების შემდეგ თიანეთის სამაზრო განყოფილება გაუქმებულად ჩაითვალა და მის მაგივრად არჩეულ იქნა მთლიანი ადგილობრივი კომიტეტი, მასთან შრომის დაცვის კომისია და კულტურული კომისია.

მოგზაური.

ქრონიკა

151

— **იაპონელ მუშებს.** საქართველოს პროფკავშირთა ადგილკომებმა დაადგინეს იაპონიის მიწისძვრისაგან დაზარალებულ მუშებს გაუწიონ დახმარება და ამ მიზნით გასწიონ აგიტაცია ადგილობრივ მუშებში.

— **გორის ტექნიკუმში.** გორის პედაგოგიურ ტექნიკუმში არის თავისუფალი ადგილები პირველ კურსზე ქალთათვის და ვაჟთათვის. მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია. მსურველთ მიმართონ თხოვნით ტექნიკუმის გამგეს.

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლი.** ხუთშაბათს, 20 სექტემბერს, დილის 11 საათზე სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში, ყოფილი პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის შენობა, სართული მესამე იწყებენ თავის მუშაობას საკლუბო და საბიბლიოთეკო სექციები. მათი მიზანია თავი მოუყარონ და ერთმანეთს დაუახლოვოს პოლიტ-განათლების ასპარეზზე მომუშავენი.

— **პურეულობის აღრიცხვა.** ა.-კ. სასურს. სახ. კომ. ცირკულიარული მიწერილობები დაუგზავნა ა.-კ. რესპუბლიკების სასურსათო კომისარიატებს, რათა აღნიშნულმა კომისარიატებმა წელიწადში ოთხჯერ მიაწოდონ ცნობები რესპუბლიკის ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს ა.-კ. სასურსათო კომისარიატის პურეულობის რაოდენობის შესახებ მათ ტერიტორიაზე.

— **ტყიბულის ქვანახშირი.** ივლისის განმავლობაში ტყიბულში ამოღებული იქნა 279,923 ფუთი ქვანახშირი, ადგილობრივ დაიხარჯა 94,974 ფუთი.

— **თამბაქოს ტრესტის კარტონის ქარხანა.** თამბაქოს ტრესტის კარტონის ქარხანამ ივლისში დაამზადა 843,000 კოლოფი, რომლის ღირებულება უდრის 70,000 ჩერვონცს.

— **ლითონის ქარხანა.** აღდგენილ იქნა სპილენძის ქარხანა, რომლის მუშაობა შეჩერებული იყო ნედლი მასალის უქონლობის გამო. ამჟამად ქარხანა ამზადებს რკინის გზისათვის მეტად საჭირო მასალებს.

— **გადასახადის აკრეფა სამხრეთ-ოსეთში.** სასურ. სახ. კომ. ცნობით სამხრეთ-ოსეთში გადასახადის სახით აკრეფილია 668 ფ. ხორბალი და 7.864 405 მანეთი (ამიერ-კავკ. ბონებით).

— **მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლება.** სასურს. სახ. კომისარიატის დადგენილებით სას. სამ. გადასახადისაგან განთავისუფლებულნი არიან შემდეგი ქალაქები: ტფილისი, ქუთაისი, ბათომი, ფოთი და სოხუმი, ვინაიდან აღნიშნულ ქალაქებზე ვრცელდება სამრეწველო-სავაჭრო და საბინაო გადასახადი.

— **გადასახადის აკრეფა ჩერვონცებით.** სასურსათო კომისარიატის დადგენილებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა შეიძლება ჩერვონცებით, გადამხდელის სურვილის თანახმად.

— **საექიმო შემადგენლობის გაგზავნა სვანეთში.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა საქ. წითელი ჯვარის შუამდგომლობის თანახმად, დაადგინა სვანეთში გაგზავნოს მედიკო-სანიტარული ექსპედიცია ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის საექიმო დახმარების გასაწევად.

— **საშუალო მედიკური სასწავლებელი.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა გახსნას ახალი ტიპის სკოლა მედიკო-სანიტარულ მუშაკთა მოსამზადებლად.

— **შრომის ბირჟა.** 17 სექტემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 755 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 146. სამუშაოზე გაიგზავნა 50.

— **მეზღვაურთა კურსები.** სექტემბრის ბოლო რიცხვებში ბათომში გაიხსნება მეზღვაურთა კურსები.

— **სასოფლო სამეურნეო აღწერა.** ახალქალაქის და დუშეთის მაზრაში სასოფლო სამეურნეო აღწერა უკვე დასრულდა და მასალები გადაეცა აღწერის ცენტრალურ კომიტეტს.

— **აქციების შეძენა.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს რუსეთის კომ. მეურნეობათა სააქციო საზოგადოებისაგან 12 აქცია.

— **700 უმუშევარი.** ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურზე სამუშაოზე განზრახულია გაიგზავნოს 700 უმუშევარი.

— **ბავშვის დაღრჩობა.** 1-ლ სამილიციო უბანში წილკანის ქ. № 12 მე-15 ელექტრონის სადგურის ეზოში თამაშობის დროს უეცრივ ჩავარდა ავზში და დაიხრჩო ნიკოლოზ ბრიძელ-ნაუმენკოს ასული.

სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლის მუშაობა

სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლი შეიცავს შემდეგ დაწესებულებათ: სკოლის გარეშე განათლების მუზეუმს, სასკოლო, საბიბლიოთეკო და საკლუბო კაბინეტებს. გარდა იმისა სახლის შემადგენელი ნაწილია პუშკინის ბიბლიოთეკა.

1. სკოლის გარეშე განათლების მუზეუმი შესდგება ექსპონატებისაგან, რომელიც ახასიათებს პოლიტ-განათლების განყოფილებათა მუშაობას. ამ ექსპონატებს წარმოადგენენ: პლაკატები, დიაგრამები, კარტოგრამები, ნახატები მხატრული ესკიზები, ყოველგვარი თვალსაჩინო და სასწავლო ნივთები და სხვა. ამჟამათ მუზეუმი არ არის მოწყობილი. საჭიროა პოლიტ-განათლებას მთავარ მმართველობის ქვე-განყოფილებათ ჩარევა მუშაობაში მუზეუმის სათანადო მოსაწყობათ. ზომები მიღებულია და ახლო მომავალში ყველა ქვე-განყოფილებათა გამგეები შეუდგებიან მუშაობას ამ მხრივ. მსგავსი მუზეუმი აუცილებლათ უნდა მოეწყოს მაზრებში პოლიტ-განათლების განყოფილებებთან ამ მიზნით უკვე დაიგზავნა ცირკულიარი და ინსტრუქცია, რომლითაც პროვინციამ უნდა იხელმძღვანელოს მასალების შეგროვების ჟამს.

2. სექციების და მარქსისტული წრის მუშაობა. საკლუბო საბიბლიოთეკო და სასკოლო სექციების და მარქსისტული წრის მუშაობა, რომელიც შეჩერებული იყო დროებით, განაახლებენ მოქმედებას მიმდინარე წლის სექტემბრის 15-დან. სექციების მიზანია თავი მოუყაროს და ერთმანეთს დააახლოვოს პოლიტ-განათლების ასპარეზზე მომუშავენი. იქვე განზრახულია დაარსება საკლუბო და საბიბლ. კურსების და სხვა, აგრეთვე საინსტრუქტორო კურსებისა, რომლის მიზანია სკოლის გარეშე მუშაკთა მომზადება და მათი კვალიფიკაცისა აწევა უნდა ვეცადოთ, რათა კურსებზე მსმენელები ადგილებიდანაც იყოს მივლინებულნი. ყველა ამ მიზნის განსახორციელებლათ და მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის აუცილებელია ვიქონიოთ მჭიდრო კავშირი, კონტაქტი: პროფ. კავშირების საბჭოს კულტ-განყოფილებასთან, რკინისგზის მმართველობის სკოლის გარეშე განათლების სექციასთან ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილების განათლების სექციასთან და სხვა მსგავს დაწესებულებათა და ორგანიზაციებთან.

3. სამკითხველო და ბიბლიოთეკა. სახლის მუშაობა სამკითხველოს და ბიბლიოთეკის მუშაობაშიაც უნდა გამოიხატოს. სამკითხველოში ჟურნალ-გაზეთების გარდა მოიპოვება ლიტერატურა საკმაოთ მდიდარი პოლიტ-განათლების შინაარსისა, რომელიც დალაგებულია სამკითხველოს დარბაზში წიგნების კლასიფიკაციის სისტემაზე. სამკითხველო მუშაობს განუწყვეტლივ დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე. სარგებლობა სამკითხველოთი შეუძლიან განსაზღვრული კატეგორიის ხალხს უფასოთ. შეიძლება ითქვას, რომ სამკითხველო კარგათ არის მოწყობილი, ხოლო უსახსრობის გამო არ ხერხდება მისი შევსება ახალი წიგნებით და არც ყველა საჭირო გაზეთი მოგვეპოვება. ჩვენ შევიქენით იძულებული შემოგვეღო ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობისათვის განსაზღვრული ფასი და გაგვეხადა ბიბლიოთეკა ყველასათვის ხელმისაწვდომი, რამაც მეტად გამოაცოცხლა საბიბლიოთეკო მუშაობა და ზედმეტი ხელისმომწერენიც შეგვემატა ამ ჟამათ სწარმოებს მუშაობა ბიბლიოთეკაში მოზიდული ყოფილ არტისტულ საზოგადოების წიგნთ-საცავში არსებულ წიგნების აღსარიცხავათ. უდიდესი საქმე, რომელიც უნდა მოგვარდეს აუცილებლათ და რომელიც მოითხოვს დიდ ხარჯს და დროს ეს არის ბიბლიოთეკის გადატანა ათ წილად კლასიფიკაციაზე. ეს საქმე რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს და სამაგალითოთ შესრულდეს, რადგან ჩვენი მიზანია ის გახდეს სანიმუშო-მაჩვენებელ დაწესებულებათ სხვებისათვის. სახლში აგრეთვე უნდა მოეწყოს საციკლო და ეპიზოდიური ლექციები და მოხსენებები.

გზების საჭიროება გურიაში

გურიის მშრომელი ხალხის კულტურული და ეკონომიური აღორძინების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მაზრაში საჭირო ახალი გზების უქონლობა და ძველების უვარგისობა.

სოფლის გზებს ასე თუ ისე უვლიან და უნდა მოუარონ კიდევაც თვით მცხოვრებლებმა, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

რაც შეეხება უმთავრესი გზა-ტკეცილების აღდგენას და ახლების გაყვანას, აქ აუცილებელია მთავრობის მხრივ ფინანსიური დახმარება.

ოზურგეთის მაზრაში საჭიროა რამოდენიმე ახალი გზების გაყვანა და ბოგების გაკეთება იმ მდინარეებზე, სადაც ეს გზები გაივლიან. მაგალითად: ლანჩხუთ-ნაგომარი, ოზურგეთ-აჭარისტანი (ლიხაურით), ჩოხატაური-სურები, ნიგოით-ხიდისთავი, კურორტ ბახმაროს და სხვა. ამათ შორის მხოლოდ ბახმაროს გზაზედ არის დაწყებული მუშაობა. ეს გზა იწყება სოფელ ქვაბღიდან (ხევის თემი) და მიწის სამუშაოს ასრულებენ თვით სოფლის მცხოვრებნი უსასყიდლოდ. სწარმოებს გამოკვლევა კურორტ ბახმაროს მეორე გზის, სახელდობრ ოზურგეთიდან. ეს გზაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ოზურგეთ-ბახმაროსათვის, მით უმეტეს ეხლა, როცა ქალაქ ოზურგეთს თვე-ნახევარში უნდა დაურჩეს დასრულებული რკინის გზა.

ლაპარაკი ამჟამად დასახელებული გზების გაყვანის შესახებ, გარდა კურორტ ბახმაროს გზისა, ყოვლად შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ყოველგან საჭიროა შეკეთება და აქ მცხოვრებლებმა და საბჭოთა ორგანოებმა თავი უნდა გამოიდონ, მაგრამ ახალი გეგმებით და ხარჯთ-აღრიცხვებით ხელში ჩვენ ეხლა ხსენებული გზების მუშაობას ვერ დავიწყებთ, ვინაიდან აქ საჭირო იქნება სათანადო თანხის გადადება, რასაც ეხლავე მთავრობას ვერ მოვსთხოვდით.

მაგრამ ამას გარდა, არის მეორე უმთავრესი მიზეზი, რომელიც ჩვენ გვეუბნება: არ შეიძლება ახალის დაწყება იქ, სადაც ძველი დანგრეულია და მისი აღდგენა აუცილებელია მცხოვრებლებისათვის; გურიის მთავარი გზა-ტკეცილი სადგურ საჯევახოდან დაწყებული ქალაქ ჩოხატაურამდე და აქედან თვით ქალაქ ოზურგეთამდე ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის დროს და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა გასული წლების წყალდიდობისაგან ისე დაინგრა და დაზიანდა, რომ დღეს მთელი აღმოსავლეთი გურია ერთი მხრივ მოწყვეტილია თავის კულტურულ-ეკონომიურ და ადმინისტრატიულ ცენტრს—ქალაქ ოზურგეთს, ხოლო მეორე მხრივ სადგურ საჯევახოს და ამ სადგურის მიდამოებში საყანე ადგილებს, საიდანაც ჩოხატაურის რაიონის მთელ რიგ საზოგადოებათა აუარებელი მშრომელი გლეხობა დიდის გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით ეზიდებიან თავიანთ

პირობები ჩვენი სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის

(დასასრული*).

ომის წინა ხანებში ჩვენში დასაბამი ეძლეოდა აგრეთვე ბამბის კულტურას. განსაკუთრებით ვითარდებოდა ის ბორჩალოს მაზრაში, კახეთში და ქუთაისის გუბერნიაში. ბამბის ნათესებს ეკავათ სივრცე და აკრეფილი იქნა ნედლი ბამბა:

წლები	სივრცე	მოსავალი (1000 ფუთ.)
1906 | 1910	— 955 დეს.	— 24,8
1911	— 4.163 „	— 182,1
1912	— 13.882 „	— 490,3

1914 წელს ბამბის კულტურის ქვეშ მოქცეული იყო 11.900 დესიატინა, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

ბორჩალოს მაზრაში— 5000 დესიატ.
ყარაიაზში — 2000 „
სიღნაღის მაზრაში — 1200 „
ქუთაისის გუბ. — 3700 „

მხედველობაშიც რომ მივიღოთ 1912 წლის ბამბის მოუსავლობა, ბამბის მოყვანა ჩვენში 1915 წლამდე მაინც რეგულიარულად იზრდება, მაგრამ ამ წლიდან კი როგორც დათესილი სივრცე, ისე აკრეფილი რაოდენობა საშინლად ეცემა და 1916 წელს კი თითქმის 40 პროცენტით მცირდება.

ჩვენს კულტურულ სასოფლო მეურნეობათა დარგებიდან, თავისი ძველი ხასიათით, დამუშავებულა სივრცის სიფართოვით, მუშა ძალის დახარჯვითა და მიღებულ პროდუქტთა ფასეულობით,—მევენახეობას და მეღვინეობას პირველი ადგილი უჭირავს.

უკანასკნელ წლებში ჩვენი მეღვინეობა მეტად ვითარდებოდა და ღვინის ხარისხიც თანდათან უმჯობესდებოდა, ყველაზე დიდი მოსავალი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში 1913 წელს იქნა მიღებული. ციფრები ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა რაოდენობის ღვინო იყო მიღებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რევოლიუციამდე ათი წლის განმავლობაში (ვედრობით):

წლები	მოსავალი
1908	— 9.049.454
1909	— 6.431.725
1910	— 7.701.171
1911	— 6.259.259
1912	— 7.027.092
1913	— 10.053.159
1914	— 8.122 579
1915	— 1.014.790
1916	— 4 548 910
1917	— 4.574.749

ტიპიური და საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენი მევენახეობის დარგში კახეთი არის; პროდუქტის ხარისხის მიხედვით ის პირველ რიგში დგას ჩვენს ვენახებს შორის მევენახეობას აქ მსოფლიო ომამდე პირველი ადგილი ეჭირა სასოფლო მეურნეობაში, ომის შემდეგ კი უპირატესობა ხვნა-თესვას მიეცა. 1917 წლ. შემდეგ პროდუქტების რეალიზაცია შემცირდა, საჭირო მასალები მეტად გაძვირდა და ინვენტარისა და მუშახელის შოვნა ძნელი შეიქნა. ამას შედეგად ვენახების ხარჯზე სახნავი ადგილების გადიდება მოყვა ან და თვით ვენახებში სიმინდის ჩათესვა აი, როგორ დაიკლო ვენახების სივრცემ თელავის მაზრაში:

ვენახებს ეკავა
1900 წელს — 10 477 დესიატ.
1914 „ — 7873 „
1915 „ — 6852 „
1920 „ — 5434 „
1921 „ — 5454 „
1922 „ — 4500 „

ასეთი შედეგები იქონია სასოფლო მეურნეობის ამ დარგზე სახალხო მეურნეობის ცუდ პირობებში ჩაყენებამ.

მევენახეობის და მეთამბაქოობის გვერდით საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მეაბრეშუმეობამ და პარკის გამოყვანამ. ამ მხრივ საქართველოს ამიერ-კავკასიაში პირველი ადგილი უჭირავს. განსაკუთრებული განვითარება მიეცა ამ დარგს დასავლეთ საქართველოში და ლიონისა და მილანის ოფიციალური ბიულეტენები ქუთაისის აბრეშუმის პარკს ფასს სირიისა და ადრიანოპოლის საუკეთესო ღირსების პარკის ფასების გვერდით აღნიშნავდენ. 60—70 პრ. ჩვენში მიღებული პარკისა უცხოეთში გადიოდა, ხოლო დანარჩენი კი ადგილობრივ ძაფათ იხვეოდა და მცირე ნაწილი კიდევ მოსკოვში გაქონდათ.

აი, როგორი იყო მეაბრეშუმეობის განვითარების სურათი ჩვენში მსოფლიო ომის დაწყებამდე; მოყვანილი იყო ნედლი პარკი:

1910 წელს—160.000 ფუთი.
1911 „ —150.000 „
1912 „ —147.000 „
1913 „ —120.000 „
1914 „ —127.000 „

ამრიგად, ომის წინა ხანებში ჩვენი მეაბრეშუმეობა შედარებით მაღლა იდგა და უდიდესი მოსავალი მიღებული იყო 1910 წელს; ომმა და მისმა შედეგებმა არსებული პირობები შესცვალეს, უცხოეთის გზები დაიხურა, პროდუქტების რეალიზაცია შეჩერდა. 1917 და 1918 წლებში ფასები პარკზე 900—1000 მანეთი იყო ფუთზე და ამ დაბალ ფასებშიც არავის სურდა ყიდვა. ყოველივე ამის გამო მოსახლეობამ მთავარი ყურადღება ხორბლეულობის და სიმინდის მოყვანას მიაპყრო და მეაბრეშუმეობისათვის აღარ ეცალა. ამან კი დიდი გავლენა იქონია პარკის მოსავალზე და ის საგრძნობლად დაეცა; მიღებული იქნა:

1915 წელს—87.000 ფუთი.
1916 „ —50.000 „
1917 „ —45 000 „
1918 „ —40.000 „
1919 „ —20.000 „
1920 „ —50.000 „
1921 „ —85.000 „
1922 „ —45.000 „

შემდეგ წლებში მთავრობამ თვით აილო პარკის მონოპოლია ხელში და შეუდგა მის შეგროვებას და რეალიზაციას. უკანასკნელ წლებში თითქოს შესამჩნევი გახდა მეაბრეშუმეობის ისევ განვითარება და წლიური მოსავალი 50.000 ფუთამდე ადის. 1921 წლის აბრეშუმის პარკის რეალიზაციამ დასტოვა 43.986.780.000 მან. (ქართ. ბონებით) წმინდა მოგება.

ზევით აღწერილი სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგთა განვითარების მოკლე სურათები,—ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმ ტენდენციის შესახებ, რომლითაც ჩვენი სასოფლო-მეურნეობა მიიმართებოდა. მიწის სივიწროვე, ბუნებრივი და კლიმატიური პირობები და ბაზრის მოთხოვნილებანი უკარნახებდენ ჩვენს მეურნეთ თავი დაენებებია მეურნეობის იმ დარგებისათვის, რომელნიც ნაკლებ ინტენსიურნი იყვენ და ხელი მოეკიდა ისეთი კულტურებისათვის, რომელნიც უმჯობესი იქნებოდა როგორც მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, ისე თვით მეურნეობის მატერიალურ გამორჩენისათვის. და ჩვენ, მართლაც ვაჩნევთ ამ მისწრაფებას, როდესაც ჩვენი გლეხობა სიმინდის კულტურას ზურგს აქცევდა და უმჯობესად ვენახის, თამბაქოს ან სხვა მსგავსი კულტურის გაშენებას ეპირებოდა. ასეთს განვითარებას ფართო გზა მიეცემოდა ალბად, რომ ომსა და შემდეგ რევოლიუციის მიერ გამოწვეულ არევ-დარევათ დამბლად არ ჩაეგდო სახალხო მეურნეობა, რითაც გზა გადაეჭრა განვითარების გზაზე მდგარ ჩვენს სასოფლო-მეურნეობასაც.

1918 წლიდან პურის ფასები და მოთხოვნილება საოცარი სისწრაფით იზრდებოდა და ჩვენმა სოფელმაც ამ მხრივ მიიპყრო თავისი ყურადღება. საგარეო ბაზრიდან პურის შემოტანის შეწყვეტამ და ამით გამოწვეულმა კრიზისმა წააქეზა ჩვენი სასოფლო-მეურნეობა, ფართოდ მოეკიდა ხელი ისევ ხორბლეულობისა და სიმინდის მოყვანისათვის, რათა თავი გადაერჩინა სიმშილობისაგან. ამ ხნიდან მიწების დიდი უმრავლესობა ამ მიზნისთვის იქნა გამოყენებული. ხშირად ამ მხრივ ადგილი ჰქონდა მხეცურ განადგურებას ვენახებისა და ტყეებისას, როდესაც მათ შეუბრალებლად ჩეხდენ და სამაგიეროდ პურსა და სიმინდს თესდენ. დღესაც თითქმის ასეთივე მდგომარეობაა გაგრძელებული, მაგრამ არსებული საერთო საგარეო და საშინაო პირობები საშვალებას იძლევიან საზღვარი დაუდვათ ამ მდგომარეობას.

ამჟამად უცხოეთთან წესიერი დამოკიდებულება არსებობს; რუსეთის სასოფლო-მეურნეობა, ისე როგორც საერთოდ მრეწველობა ფეხზე დადგა და წარსული წლების საშინელი მოუსავლობისა და 5 წლის სამოქალაქო ომის მიწყნარების შემდეგ წელს იმაგრებს. ჩვენს ხორბლის კულტურას ისევ ძველი მეტოქე გაუჩნდა და დღეს ჩვენი ბაზარი რუსეთის პურით არის დაფარული. საბრალო სანახავია ჩვენი სოფელი ამჟამად, სადაც ხორბალი და სიმინდი მრავალათაა, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო ფასები არის მასზე, რომ ბაზრად გამოტანა არც კი ღირს. როგორი გზა უნდა აირჩიოს ასეთ პირობებში ჩვენმა სასოფლო მეურნეობამ?

ყოველი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული, რათა ჩვენი სასოფლო მეურნეობა მძიმე კულტურიდან იოლი კულტურის საფეხურზე ავიყვანოთ. ამისათვის უპირველეს ყოვლისა თვით ხორბლეულობის კულტურის მტკიცე საფუძველზე დაყენება უნდა მოხდეს; მოსავლიანობის აწევით და ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდით ხორბლისა და სიმინდის კულტურიდან განთავისუფლებულ უნდა იქნენ ის მიწები, რომელნიც დღევანდელი უკულტურო მეურნეობის გამო ამ მიზნისათვის არიან გამოყენებულნი. ჩვენში ყველა იმისათვის ზრუნავდა და ზრუნავს, რათა რაც შეიძლება ადგილების მეტი სივრცე იქნას დახნული და დათესილი. ლამის მთელი ტყეები გადაჩეხონ, მთები გადახნან და ტბა-ჭაობები დააშრონ,—ოღონ მეტი რაოდენობის დესიატინა იქნეს დათესილი. „რაც შეიძლება მეტი დაითესოს“,—აი ლოზუნგი, რომელიც გაისმის წლიდან წლამდე, ხოლო იმისათვის კი არავინ ზრუნავს, რათა არსებული რაოდენობა დათესილ მიწებისა გაუმჯობესებულ და გაპოხიერებულ იქნეს. აი, როგორ ეცემა ჩვენი მიწების ნაყოფიერობა და იფიტება იგი: მოწეული იყო დესიატინაზე სიმინდი (ფუთობით) ქუთაისის გუბერნიაში (ახალი ციფრები არა გვაქვს):

	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.
ქუთაისის მაზრაში	100,8	77,1	72,7	25,6
შორაპნის „	88,7	89,2	68,6	27,9
რაჭის „	101,3	101,4	99,8	43,7
ლეჩხუმის „	106,9	75,7	57,8	29,4
სენაკის „	103,4	73,6	90,1	55,8
ზუგდიდის „	92,8	79,9	78,3	65,3
ოზურგეთის „	107,1	65,3	95,0	108,8

ჩვენს სოფლის მეურნეობაში ძალიან ნაკლები შეგნებაა იმისა, რომ მოსავლიანობის ნაყოფიერობა და სიდიდე გაცილებით მეტად არის დამოკიდებული მიწის დამუშავების და განოყიერების კულტურის ხარისხზე, ვიდრე დათესილი სივრცის სიფართოეზე. წლებიდან წლებამდე, თაობიდან თაობამდე იხვნება და ითესება ჩვენი მიწები, მოდის ჭირნახული და ვხმარობთ მას,—და არ არის ისეთი დღე, რომ ვიკითხოთ: უნდა დავუბრუნოთ თუ არა ოდესმე მიწას ის, რაც ათეულ და ასეულ წლობით მისგან წაგვიღია,—რათა გაორმაგებულად ისევ ჩვენ გვემსახუროს?

ჯერ კიდევ ძველ რომაელებსა და ბერძნებს ჰქონდათ შეგნებული, რომ მიწა იფიტება მოსავლის გამო და იმისათვის, რომ მან ხელახლა მოგვცეს მოსავალი, თხოულობს დახარჯულ ნივთიერებათა ანაზღაურებას გაპოხიერების საშვალებით. მაგრამ თუ რა საშვალებით იქნებოდა შესაძლებელი ეს ანაზღაურება, გაურკვეველი იყო უკანასკნელ ხანებამდე. **იუსტუს ლიბიხმა** პირველმა შექმნა ნამდვილი თეორია იმის შესახებ, რომ მცენარის გაზრდისა და კვებისათვის საჭირო არის უმთავრესად მინერალური საკვები ნივთიერებანი, როგორიცაა მაგალითად ფოსფორის სიმჟავე, კალიუმი და კირი. ეს ნივთიერებანი ნიადაგში განსაზღვრული რაოდენობის მოიპოვებიან და ყოველი მოსავლის შემდეგ მათი რაოდენობა კლებულობს და ამიტომ შემდეგი მოსავალიც სუსტდება, თუ კი მათი ანაზღაურება არ მოხდა. ლიბიხი მტაცებლურს უწოდებს ისეთ სამეურნეო სისტემას, რომელშიც ამ ნივთიერებათა ანაზღაურება არ ხდება; ხოლო თუ კი მიწას უბრუნდება დაკარგული რაოდენობა გაპოხიერების საშვალებით,—სამეურნეო სისტემას სტატიკურად თვლის.

როგორადაც არ უნდა შევხედოთ ლიბიხის თეორიას მის დეტალებში, ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა ამ თეორიის მიხედვით მტაცებლური სისტემის გზაზე იდგა და ამჟამადაც დგას. მიწად მოქმედების განვითარება და კულტურულ მეურნეობათა აღორძინება ჩვენში აუცილებლად მოითხოვს საზღვარი დაედვას ასეთ სისტემას და ჩვენს მიწებს მივხედოთ; ნაყოფიერობის აწევისათვის უპირველეს ყოვლისა არსებული სახნავი მიწების განოყიერებას უნდა მივმართოთ, სასუქ ნივთიერებათა საშვალებით.

სასუქი ნივთიერებანი ორგვარი არიან: ორგანიული და მინერალური. ჩვენი მეურნეობისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ორივე საშვალება. ჩვენში მრავლად არის საქონლებისაგან მიღებული ექსკრემენი, რომელიც საუკეთესო გამაპოხიერებელი საშვალებაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში მესაქონლეობა დიდათ განვითარებული არ არის, ის ამ მხრივ მაინც საკმაო დახმარებას გაგვიწევს. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველოში (ბათომის ოლქს გარდა) სულ იყო (ათასობით):

	ცხენი, აქლემი ვირი	მსხვ. საქ.	წვრილ საქონ.
ტფილისის გუბ. —	67,7	664,2	1646,3
ქუთაისის „ —	19,5	420,3	389.9
აფხაზეთში „ —	16,2	130,9	195,5
სულ	103,4	1215,4	2131,7

საქონლის ეს რიცხვი მნიშვნელოვან გასაპოხიერებელ მასალას მოგვცემს, თუ მათ სისტემატიურ გამოყენებას შეუდგებით. აი, რას ამბობს ამის შესახებ ედუარდ დავიდი: „მრავალწლიანი უხვი ნაკელით გაპოხიერების საშვალებით ნიადაგში შეიძლება დაგროვდეს იმდენად მდიდარი მარაგი ორგანიულად შეკავშირებულ აზოტისა, რომ მარტო ბუნებრივი პროცესი ხრწნისა საკმაო იქნება აზოტის მუდმივ არსებობისათვის“. ჩვენში რომ ასეთი შეგნება იყოს ნაკელის სარგებლობისა და მას შესაფერად ვიყენებდეთ, ჩვენი მიწები დღეს გაცილებით მეტის მომცემნი იქნებოდიან და საჭირო აღარ გახდებოდა ნათეს სივრცეების დაუსრულებელი გაფართოება. რამდენად პატარაა მეურნეობა, მით უფრო ადვილად არის შესაძლებელი ნიადაგის საკვებ ნივთიერებათა ხარჯვის ანაზღაურება, ამ მხრივ ჩვენი სასოფლო მეურნეობა ხომ საუკეთესო პირობებს იძლევა და მცირე ხნის სისტემატიური მუშაობის შემდეგ, წარმოუდგენელი შედეგების მოწმე გავხდებით.

ყოველივე ამიტომ ჩვენი აგრარული პოლიტიკის ყურადღების ცენტრი ამ მხრით უნდა იქნეს გადატანილი და უნდა ვიზრუნოთ მიწების ნაყოფიერების გასაზრდელად გაპოხიერების საშვალებით.

გარდა აღნიშნულ სასუქისა, ჩვენში შესაძლებელი გახდება ხელოვნურ სასუქის მიღება და მეურნეობაში ეს მით უფრო ადვილი განსახორციელებელი იქნება მომავალში, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ენერგიული მუშაობა არის დაწყებული ელექტროფიკაციისათვის და ეს უკანასკნელი კი მეტად დიდ პერსპექტივებს გადაუშლის წინ ჩვენს სასოფლო-მეურნეობასაც. ამიტომ ჩვენ დღიურ ლოზუნგათ უნდა გადაიქცეს: ნათესი სივრცეების შემცირება მიწების განაყოფიერების ხარჯზე!

ამას გარდა ჩვენს მიწის ფონდს ერთი წყარო აქვს კიდევ თავისუფალი მიწების შესაძენად; ეს ჭაობიანი ადგილები არის. საერთოდ ჭაობიანი ადგილები ოზურგეთის, სენაკის, და ზუგდიდის მაზრებში და აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში არა ნაკლებ 100.000 დესიატინას შეადგენს, ამ მიწების სასოფლო-მეურნეობის ქვეშ მოქცევა ალბად მალე გახდება დღიურ კითხვათ, როგორც კი სოფლად კულტურულ მეურნეობათა დარგები ფეხს მოიკიდებენ.

ამ გზით, რაკი თვით ხორბლეულობისა და სიმინდის კულტურა მტკიცე საფუძველზე დადგება და საჭირო აღარ გახდება ნათესების გადიდება, შესაძლებელი იქნება მიწების დანარჩენი ფონდის უფრო იოლად გამოყენება მაღალ კულტურულ მეურნეობის დარგებისათვის. ამ საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევს ეჭვს გარეშე მელიორაცია. ქუთაისის გუბერნიაში, სადაც თითოეულ სულზე 1,6 დესიატ. მოდის, მიწების სარეზერვო ფონდი, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება 150.000 დესიატინას შეადგენს. ასევე არის აღმოსავლეთ საქართველოშიც. რამდენი მიწა არის ჩვენში, რომ მოურწყველობის გამო ვერ გამოყენებულა და ზოგი კიდევ გვალვიან წლებში მოურწყველობით განადგურებულა. ამ მხრივ ძლიერ ცოტა კეთდებოდა ჩვენს სასოფლო-მეურნეობაში, იმ დროს როდესაც ეს მეურნეობის სასიცოცხლო საკითხი არის.

სულ ერთი-მეორეზე ირწყვებოდა მიწა:

1902—1908 წლ.—6.000 დესიატ.
1908—1909 „ —16.000 „
1910 „ —18.000 „
1911 „ —22.000 „
1912 „ —47.000 „
1913 „ —50.000 „

ცხადია, რომ ეს მეტად მცირე რაოდენობა იყო იმ საჭიროებასთან შედარებით, რომელსაც ჩვენი სასოფლო-მეურნეობა განიცდიდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა; სარწყავი არხების გასაყვანად დაწყებულ იქნა დიდი მუშაობა და გასული წლის განმავლობაში მრავალ ადგილას ახალი სარწყავი არხები გაიხსნა; ეს მუშაობა ამჟამადაც გრძელდება და იმედი გვაქვს, რომ მალე დაკმაყოფილებულ იქნება ჩვენი გლეხის უსაჭიროესი მოთხოვნილება—მის მიდვრებსა და ყანებს წყალი უხვად ექნება მოსარწყავად.

ამრიგად, იმ ტენდენციას, რომელიც აილო ჩვენმა სასოფლო-მეურნეობამ ომის წინა ხანებში,—გზა ხსნილი უნდა მივცეთ და ხელი შევუწყოთ. ეს მოხდება ერთის მხრით, როგორც აღვნიშნეთ, მიწების ნაყოფიერობის აწევით, ხორბლეულობისა და სიმინდის კულტურიდან ზედმეტი სივრცეების განთავისუფლებით და მელიორაციის ფართო დახმარებით. ჩვენს სოფლის მეურნეობას უფრო მაღალი მოწოდება აქვს, ვიდრე სიმინდის კულტურაა: ეს ის მაღალ კულტურული დარგებია, რომელთაც პლანტაციებითა და ინტენსიურად დამუშავებული მიდვრებით უნდა მოფინონ ჩვენი სოფელი. ჩვენი სასოფლო-მეურნეობა უკანასკნელ წლებში მხოლოდ სიმინდის და ხორბლის კულტურამ შთანთქა, მას მაღალ კულტურულ მცენარეულობათათვის აღარ ეცალა. ამიერიდან ჩვენი ცდა იქით უნდა იყოს მიმართული, რათა მან შესძლოს განაყოფიერობის შემდეგ განთავისუფლებულ მიწებზე მაღალი კულტურის შემოღება და განვითარება!

გ.—ძე.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 213.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

დაუსრულებელი გაუგებრობა

2 სექტემბერს შესდგა ტფილისის და ნავთლუღის საქონლის სადგურთა მტვირთველ მუშების მასიური კრება. მუშების მოთხოვნილება იყო ცენტროტრამოტასთან ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადება, რომელსაც ვადა გაუთავდა ამა წლის მაისის პირველს. ამ მოთხოვნილების წინააღმდეგ იყო ცენტროტრამოტის რკინისგზის განყოფილების გამგე კილაძე, რომელიც კრებასაც არ დაესწრო, კრებამ მაინც თავისი მოთხოვნილება რეზოლიუციის სახით გამოიტანა; აირჩია კომისია მოთხოვნილების ცხოვრებაში გასატარებლად. კომისიამ თავისი მოვალეობა უკვე პირნათლად შეასრულა. ამ ჟამად მდგომარეობა ისევ გამწვავდა და საქმე საქართველოს კომპარტიის ცეკაში—მუშების სასარგებლოდ გადასწყდა. ცეკას დადგენილებით, ცენტროტრამოტის მიერ დადებული ხელშეკრულება სამმართველოსთან გაუქმდა და წარმოება თავისი მუშებით პირველს სექტემბრიდან რკინისგზის სამმართველოს განკარგულებაში უნდა გადასულიყვნენ შრომის ხელფასის მომატებით და რკინისგზელთა ყოველივე უფლებების მათთვის აღდგენით. ამ დადგენილებებზე, როგორც რკინისგზის უფროსის მოადგილემ, ამხ. კარჩაგინმა, აგრეთვე ცენტროტრამოტის გამგემ, კილაძემ ხელი მოაწერეს, მაგრამ, სამწუხაროდ, თვე უკვე გადის და საქმე კი ხელოვნურად ჭიანურდება. მუშები ცის მანანასავით მოელიან „ტრამოტის' რეჟიმისაგან განთავისუფლებას. დღეს კი, როგორც გადმოგვცემენ, ეს წარმოება და თვით მუშები მცირე ხელფასის მომატებით ისევ ცენტროტრამოტას რჩებათ. მე მიკვირს, ვინ გაბედა ან ვის აქვს უფლება ცეკას დადგენილების დარღვევის. მუშები ცეკას დადგენილებას სავსებით იზიარებენ. ამის გამო მდგომარეობა სერიოზულია, მუშები აღშფოთებულნი არიან იმისათვის, რომ მდგომარეობა უფრო ნათლად გამოირკვეს. საჭიროა, ამ მდგომარეობას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ყველა ორგანიზაციებმა.

ჩვენ ვსთხოვთ ცეკას გამოსთქვას თავისი ავტორიტეტული უკანასკნელი სიტყვა ამ საკითხის შესახებ—წინააღმდეგ შემთხვევაში მდგომარეობა უცვლელათ დარჩება. საქმის გადადებას კი მუშების დღევანდელი ეკონომიური პირობები არ ითმენენ.

მუშა ნ. კობიძე.

მუშათა ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნის გზა

ამ უკანასკნელ ხანებში ცენტრალურ გაზეთებში ხშირად სწერენ მოსკოვში, პეტროგრადში და სხვა მთავარ ქალაქებში საზოგადო სასადილოების დაარსების შესახებ.

„მხოლოდ საზოგადოებრივი კვების საშუალებით შეიძლება დამყარდეს რევოლიუციონური ყოფა-ცხოვრება და მოხდეს ნამდვილი განთავისუფლება მუშა ქალებისა"-ო,--სწერდენ ისინი.

ცენტრის ასეთი აზრი და მოქმედებანი სრულიად მიზანშეწონილია და მას აუცილებლად უნდა დავეყრდნოთ ჩვენცა. საზოგადო სასადილოების მოწყობით მუშა ქალები მართლაც თავისუფლდებიან ოჯახის სამზარეულოში ზედმეტი მუშაობისგან, რითაც მათ სამი საათი მაინც რჩებათ სულიერ და კულტურულ განვითარების მისაღებათ, ამ მხრივად ისინი ამჟამად ძალიან ჩამორჩენილი არიან.

საზოგადო სასადილოების დაარსება ისე ძნელი საქმე არ არის, რომ ის ჩვენ ვერ შევსძლოთ.

ასეთების მოწყობა კი შეიძლება ცალკე მუშათა რაიონებში, სადაც თავს იყრის ფაბრიკა-ქარხნები და სხვა დაწესებულებები. სასადილოების მოსაწყობი სახსრები იქნება შეკრებილი მუშათა შორის.

ცხადია, ასეთი სასადილოები მუშებს მისცემენ უფრო ნოყიერ საჭმელს და უფრო იაფ ფასებშიც.

ეს საქმე აუცილებლად უნდა იქნას გაკეთებული ახლო მომავალში. ეს გარემოება, სხვათაშორის, სულ ახალ ყოფა-ცხოვრებაში ჩააყენებს მუშა-ქალებს და საერთოდ ყველა მუშებს კომუნიზმის გზაზე დააყენებს.

ვინ უნდა გააკეთოს ეს საქმე?

ცხადია, სახალხო კვების კავშირმა, რომელსაც ყველა მუშები ვალდებული არიან დაეხმარონ შეძლებისდაგვარად.

მაშ სიტყვისგან საქმეზე, ამხანაგებო!..

მუშკორი მახხა.

მუშებში ლოთობის გავრცელებას თვით მუშები უნდა ებრძოდნენ

ხშირად ჩვენი მუშები იმით კმაყოფილდებიან, რომ ლოთობასთან ბრძოლის საშუალებად ასახელებენ ქარხნების მიდამოებში სამიკიტნო დუქნების დაკეტვას იმ მოსაზრებით, რომ ვითომდა იმ ქარხნის მუშები ღვინის და არყის სმას თავს დაანებებენ და თითქოს სხვაგან აღარ დალევენ სასმელებს. გულახდილად უნდა ვსთქვა, რომ მარტო ეს ზომები ბევრს სარგებლობას ვერ მოგვიტანს, რადგანაც ლოთობის მთავარი მიზეზი სულ სხვა არის. მაგალითად, არიან ისეთი მუშები, რომლებიც იგივე სამიკიტნოში რომ მათ „ქუდი შეუგდოთ", გამოსატანად არ შევლენ და მათი ოჯახის სარჩენ ფულს არ დახარჯავენ ამ დამღუპველ ღვინის სმაში. ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ მუშების ერთი ნაწილი ვერა გვყავს პოლიტიკურად მომზადებული და გონების სიბნელის გამო ეტანება ამ უბედურ სენს, ლოთობას. მაშ რა ზომები უნდა მივიღოთ მუშათა შორის ლოთობის აღმოსაფხვრელად? ჩემის აზრით აქ უნდა კულტურული ზომებიც იქნას მიღებული, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მუშებში თვითშეგნების განვითარება-განმტკიცებას.

საჭიროა ალკოგოლიზმთან მებრძოლი საზოგადოების დაარსებაც, სადაც უნდა შევიდნენ შეგნებული და ამ საქმეში საქმის მოყვარე მუშები. აქტიური ნაბიჯები უნდა გადადგან უპირველესად ადგილობრივმა კომიტეტებმა. ამ დროს, როდესაც მუშათა კლასი თავის საკუთარ მუშურს და გლეხურს სახელმწიფოს აშენებს, ყოვლად დაუშვებელია მუშათა წრეებში ალკოგოლის გავრცელება. ლოთობას აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს.

მუშკორი ნიკო მკერვალი.

„სპარტაკელების" ექსკურსია ბათომში

8 სექტემბერს 1 რაიონის სპარტაკელებმა მოაწყვეს უფასო ექსკურსია ბათომში „სპარტაკის" თავმჯდომარის, ამხ. ბერულავას წინამძღოლობით. წინა დღით მომზადებული სპარტაკელები მოუთმენლად ელოდნენ იმ ჟამს, როდესაც ისინი გაემგზავრებოდნენ ბათომის სანახავად. დადგა კიდევაც ეს მომენტიც, როდესაც ჩვენ, ყველა ვაგონში მოთავსებულნი, დავიძარით საღამოს 8 საათის მატარებლით სადგურიდან ბათომისკენ; ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან თვალ წინ გვებადებოდა ბუნებით მდიდარი და თვალწარმტაცი ბათომის მიდამოები და ჩვენი ქვეყნის დასავლეთი კუთხეები. ზღაპრად გაგონილი ოდესმე, ეს კუთხეები დღეს სრულიად თვალ წინ ცოცხლად გვებადებოდა. გათენდა მეორე დილა და ჩვენ უკვე ვიყავით ბათომში და ჩვენი ნატვრა მალე აღსრულდა. იმ დღესვე მოვახდინეთ გამოსვლა ქალ. ბათომში ამხ. ბერულავას წინამძღოლობით. ჯერ მოვიარეთ თვით ქალაქი, მერმე დავათვალიერეთ მშვენიერი, სარაკო ზღვა და მისი ნაპირები, რომელმაც დიდ განცვიფრებაში მოგვიყვანა ყველა. ამავე, მიზნით გავემგზავრეთ სხვა ქალაქებშიც მაგ. ფოთში, ქუთაისში, ახალსენაკში და გორში. ქუთაისში დიდად გაგვაოცა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებმა. ამ ტაძრის ნახევარი ნაწილი დანგრეულია, მაგრამ დაკვირვების და დათვალიერების შემდეგ, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენ წინაპართ დიდი ნიჭი შესწევდათ ამ დარგის ხელოვნებაში და ამ გარემოებამაც დიდათ გვასიამოვნა. სპარტაკელებმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს თავის გამოსვლებით ყველა იმ ქალაქებშიც, რომლებიც მათ ინახულეს. ჩვენც დიდად კმაყოფილნი დავრჩით ამისთანა ექსკურსიით. სალამი სპარტაკის ამხ. ბერულავას, რომელიც არ ზოგავს თავის ძალღონეს სპარტაკის საკეთილდღეოდ დიდ ენერგიას, ღვაწლს სდებს სპარტაკის აღორძინებაში და მიზან-შეწონილად ამოქმედებს მისთვის მინდობილ ნორჩ ძალებს. გაუმარჯოს იმ ორგანოებს, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენი „სპარტაკის" წინმსვლელობას! ერთი კვირის ექსკურსიის შემდეგ დავბრუნდით უკან, ისევ ჩვენ თბილისში. კიდევ დიდ ხანს იქნება ჩვენს ხსოვნაში ამ დაუვიწყარ ექსკურსიის ჩვენზე გავლენა—შთაბეჭდილებანი.

მუშის შვილი ვლ. დევაძე.

რკინისგზელთა ამბულატორიის კბილის საექიმო განყოფილება

ამ განყოფილებაში ორი ექიმია. ერთი იღებს ავადმყოფებს დილის 8—12 საათამდე, მეორე ნაშუადღევის 12-4 საათამდე. მიუხედავად ამისა, ერთს ავადმყოფს მხოლოდ კვირაში ერთხელ ხვდება რიგი იმავე ექიმთან შესვლისა. როდესაც გადავსინჯე ავადმყოფების მისაღები წიგნები, აღმოჩნდა შემდეგი: ა. წ. იანვარში ამ განყოფილებამ მიიღო 1556 კბილის ავადმყოფი. ამათში პლომბი მიუღიათ და მორჩენილა მხოლოდ 146. თებერვალში 2238 ავადმყოფისგან პლომბა მიუღია—251, მარტში—2378-დან პლომბა მიუღია—303-ს, აპრილში—2019-დან პლომბა მიუღია 189-ს, მაისში 1974-დან პლომბა მიუღია—210-ს, ივნისში—1946-დან 214-ს, ივლისში 1797-დან პლომბა მიუღია 228-ს, აგვისტოში 1624-დან მორჩენილა მხოლოდ 208 კაცი. ცხადია, რომ ამ კაბინეტის ამ სისტემით მუშაობა არავითარ ნაყოფიერებას არ მოიტანს, რადგან კბილის ტკივილს და პლომბის გაკეთებას ორი კვირა სისტემატიურად სიარული სჭირია. ავადმყოფების რიცხვი დღითი დღე მატულობს; მათი რიცხვიდან დახმარებას იღებს მხოლოდ მცირე პროცენტი. შუადღემდე ამ კაბინეტში ორი სავარძელი უნდა იდგეს და ორივე ექიმებიც უნდა მუშაობდნენ, საღამოს კი მესამე ექიმი მუშაობდეს. მაშინ ავადმყოფთა რიცხვიც შემცირდება და ამ კაბინეტის მუშაობასაც ნაყოფიერება ექნება. საჭიროა აქ მოწვეულ იქნეს კბილების ჩამსმელი სპეციალისტი, ამით მუშებს საშუალება მიეცემათ აქ ჩაადგმევინონ კბილები უფრო შეღავათიან ფასებში.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

სარჩო-საბადებელს. ხსენებული გზატკეცილი ყოველთვის სახელმწიფო გზად ითვლებოდა და მას ხაზინა ინახავდა. ოზურგეთიდან ეს გზა გრძელდება სადგურ ნატანებამდე. აქ (ოზურგეთ-ნატანებ შუა) 18 ვერსია, რომელსაც თავიდანვე უვლიდა და უვლის დღესაც სამაზრო აღმასკომი. ამ უკანასკნელათ დასრულდა მასზე მნიშვნელოვანი რემონტი, რაც აღმასკომს მილიარდები დაუჯდა. გარდა ამისა სოფელ უჩხობში (დვაბზუს თემი) და შემოქმედში მდინარე ნატანებზე და ბჟუჟზე აღმასკომი აკეთებს ცემენტის დამბებს, ალაგ-ალაგ კი ხისას. შემოქმედში ეს მუშაობა თითქმის დამთავრებულია. სახალხო კომისართა საბჭო ამ საქმეში ჯერ-ჯერობით დაეხმარა სამაზრო აღმასკომს ოთხი მილიარდით. გაკეთებული კი არის ოცი მილიარდისაც; სხვაც ბევრი მორიგი საქმეები აქვს აღმასკომს დაწყებული და დასამთავრებელი და ყველა ამაებს იგი აწარმოებს ადგილობრივი საკუთარი ძალებით და ადგილობრივი მშრომელების დახმარებით. მაგრამ რაც შეეხება უმთავრესი გზა-ტკეცილის აღდგენას საჯევახოდან ოზურგეთამდე და იქ მდინარე ბახვის წყალზე და ნატანებზე 25—30 საჟენიანი ბოგების აგებას, რომელიც შარშანდელმა წყალდიდობამ მოსპო და გაანადგურა, იგი იმდენ სპეციალურ მუშაობასა და იმდენ თანხას მოითხოვს, რომ სამაზრო აღმასკომს საკუთარი ძალ-ღონით არ შეუძლია მუშაობის დაწყება, თუ სახალხო კომისართა საბჭო არ დაეხმარა მას და არ გადასდო მისთვის საჭირო თანხა.

ხსენებულ გზა-ტკეცილზე ნორმალური მსვლელობის აღდგენის საკითხს და მასთან დაკავშირებულ აღმოსავლეთ გურიის მცხოვრებთა უნუგეშო მდგომარეობას სამაზრო აღმასკომმა ადრე მიაქცია ყურადღება და თავის დროზე აღძრა შუამდგომლობა კომისართა საბჭოს წინაშე, მიმოსვლის გაადვილების მიზნით, პირველ რიგში უმთავრესი ბოგების გაკეთების შესახებ.

წარმოდგენილი იყო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა. მაგრამ მაშინ სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა ვერ იქნა დაკმაყოფილებული. დღეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მე-3 წლის არსებობის შემდეგ, პირდაპირ დაუშვებელია ამ ძველი გზა-ტკეცილის იმ მდგომარეობაში ჩატოვება, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება. ამიტომ სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რომ ეხლავე მიექცეს სათანადო ყურადღება გზატკეცილის აღდგენის საკითხს და გაკეთდეს იგი პირველ რიგში. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, აღმასკომი დაუყოვნებლივ წარმოადგენს ხარჯთ-აღრიცხვას.

რაც შეეხება იმ ბოგების საკითხს, რომლის შესახებ უკვე იყო წარმოდგენილი შუამდგომლობა, გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, ვსთხოვთ სახალხო კომისართა საბჭოს მის ხელ-ახლა განხილვას და დაკმაყოფილებას, რომლის შემდეგ გადმოეცეს სამაზრო აღმასკომს მუშაობის გასაჩაღებლად ხუთმეტი მილიარდი ამ თავითვე.

თუ ხსენებული ბოგები არ იქნა გაკეთებული ამა წლის შემოდგომის გათავებამდის, მაშინ მთელი ზამთრის განმავლობაში ოზურგეთსა და დაბა ჩოხატაურს შუა მიმოსვლა შეწყვეტილი იქნება, რაც დიდ ზიანს მოუტანს საბჭოთა აღმშენებლობას გურიაში და მშრომელი ხალხიც უმწეო მდგომარეობაში ჩავარდება.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ა. დოლიძე.

პროვინციაში

გორის მაზრა.

გორის მაზრის აღმასკომის და თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი.

ა. წ. სექტემბრის 10-ს გორის სამაზრო აღმასკომში მოწვეულ იქნა მაზრის თემ-აღმასკომთა თათბირი, მათი მუშაობის და თემების მდგომარეობის იმფორმაციის გასაკეთებლად და მომავალ მუშაობისათვის სამუშაო გეგმების და ინსტრუქციების მისაცემად. თათბირს დაესწრენ მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და თათბირის თავმჯდომარე ამხ. სერგო ცხოვრებაშვილი, პარტკომის წარმომადგენელი ამხ. არჩ. გიორგაძე; სამაზრო აღმასკომის ზოგიერთი წევრნი და თანამშრომელნი და ყველა თემ-აღმასკომის თავმჯდომარენი, გარდა ბორჯომის თემისა. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ადგილებიდან, 2) უპარტიო გლეხთა კონფერენციების შედეგები, 3) საექიმო დახმარების მოწყობა სოფლად, 4) მოხსენება ფინანსიურ მდგომარეობაზე, 5) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, 6) ტყის გამგის მოხსენება, 7) მიმდინარე საკითხები.

ადგილებიდან მოხსენებები გააკეთეს ყველა თემ-აღმ.სკომის თავმჯდომარეებმა, რომელთა მოხსენებებიდანაც სჩანს შემდეგი: მდგომარეობა თემებში, ყველა თემში საერთოდ დამაკმაყოფილებელია, ოღონდ დიდ უკმაყოფილებას იწვევს მათი ნაშრომის (პურის, სიმინდის და სხვა) სიიაფე და მანუფაქტურის და სხვა პირველ საჭიროების საგნების სიძვირე. გზები, ბოგირები და სხვა, სოფლებში ყველგან კეთდება თვით ხალხისა და აღმასკომების მიერ. მიწის რეფორმა თითქმის ყველგან ჩატარებულია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დეფექტები ბევრი იყო მიწკომების მიერ ჩატარებულ მუშაობაში და ყველა ასეთები თანდათანობით სწორდება. სანიტარული მდგომარეობა თემებში, თუ თავის სიმაღლეზე არა, არც ძალიან დაბლა სდგას. ეპიდემიური ხასიათის ავადმყოფობას თემებში ადგილი არ ჰქონია. უნდა აღინიშნოს, რომ თემებში გლეხკაცობას სამაზრო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ აღმოუჩინა შეძლებისდაგვარად დახმარება წამლებით, როგორც მაგ. ქინაქინით და სხვით. კოოპერატივებს თემ-აღმასკომების მიერ დიდი ყურადღება ჰქონდათ მიქცეული, მაგრამ მაინც ვერ დადგენ საჭირო სიმაღლეზე. გლეხების ერთ მთავარ მოთხოვნილებას, სხვათა შორის, წარმოადგენს ტყით სარგებლობა შეღავათიან ფასებში. ამის შესახებ აღმასკომმა უკვე მიიღო ზომები და დღეს ულარიბესი გლეხობა უფასოთ კმაყოფილდება ტყით. სკოლების საქმე თემებში ვერ არის მოგვარებული. თემ-აღმასკომები მოითხოვენ სკოლების რიცხვის და მასწავლებელთა შტატების გადიდებას, რადგან ხალხში უფრო მეტად გაიდგა ფესვები სწავლა-განათლებამ. ამ დარგში და საერთოდ საქმიან მუშაობის სფეროში ყურადღების ღირსია მეჯვრისხევის თემის აღმასკომი. თემ-აღმასკომის თავმჯდომარის ენერგიულ მეცადინეობის წყალობით სოფ. მეჯვრისხევში დაწყებულია 8 კლასიანი შრომის სკოლის აგება, რაც დიდ მადლობად უნდა ჩაეთვალოს მას. მანვე შეკრა კავშირი ადგილობრივ კოოპერატივებთან და მიიღო ზომები მათი აღდგენის და გაფართოვებისათვის, დაარსებულია სხვადასხვა ამხანაგობები და სხვ. ორგანიზაციულ მუშაობაშა თემ-აღმასკომის თავმჯდომარეები თვითვე აღიარებენ თავიანთ ნაკლს. თემის აპარატები, თავიანთი მუშაობით ზოგნი სდგანან თავიანთ სიმაღლეზე, ზოგნი კი მოისუსტებენ. დღის წესრიგის მიხედვით თათბირი შეჩერდა ყველა საკითხებზე, ოღონდ მათში უნდა აღინიშნოს ერთი მთავარი საკითხი: ესაა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მაზრაში. ამ საკითხზე ინფორმაციული ხასიათის მოხსენება გააკეთა სამაზრო-სასურსათო კომისარმა. მან აუხსნა თათბირის წევრებს გადასახადის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და დაავალა თემ-აღმასკომის თავმჯდომარეებს მეტი სიფხიზლით და ენერგიით ჩაეტარებინათ ეს კამპანია. მან ყრილობაზედვე დაურიგა თემ-აღმასკომის თავმჯდომარეებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ინსტრუქციები, დეკრეტები, შეწერილობის ფურცლები და აუხსნა ყოველი გრაფა დეტალურად. თათბირი გაგრძელდა ორ დღეს. სექტემბრის 11-ს თათბირი გამოცხადდა დახურულად და თემ-აღმასკომის თავმჯდომარეები, დატვირთულნი საქმეებით, გაემგზავრნენ თემებში სამუშაოდ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანის ეხლავე ეტყობა დიდი სიფხიზლე და იმედია სრული სისწორით შესრულდება მაზრაში ეს დიადი საქმე.

ინფორმატორი.

პერევისის თემი (შორაპნის მაზრა).

9 სექტემბერს პერევისის თემის სამმართველოში ჩამოვიდნენ შორაპნის სამპარტკომის პ/მ. მდივანი ამხ. ქავთარაძე, აგიტ-პროპის გამგე ამხ. სუფსისპირელი და სამაზრო პროფბიუროს გამგე ამხ. [illegible] და ადგილობრივ მცხოვრებლებთან გამართეს მსჯელობა რელიგიის გარშემო. კრებას დაესწრო ადგილობრივი მღვდელი - დეკანოზი დევიძე, მღვდელი ხარაიძე და მეორე მღვდელი დევიძე. ჩამოსულმა ამხანაგებმა დაასაბუთეს ეკლესიები როგორც სიბნელის ბუდეები, აღნიშნეს მღვდლებისა და დეკანოზების „საქმენი საგმირონი" და სხვა.

დეკანოზი დევიძე გამოეკამათა ამხანაგებს და უნდოდა დაემტკიცებია ის, რომ ეკლესია და მღვდლები ემსახურებოდნენ მთელ კაცობრიობას, განსაკუთრებით კი მშრომელ ხალხს; ის ცდილობდა თავისი აზრით დაემტკიცებია სამღვთო წერილის ციტატებით, მაგრამ ეს სამღთო წერილი ამხანაგებსაც კარგათ ცოდნიათ და აშკარად დაუმტკიცეს დეკანოზ დევიძეს, ვის იცავდა ეკლესია და ვისთვის ლოცულობდნენ მღვდლები და დეკანოზები. აღნიშნეს მღვდლების მოქმედება ნიკოლოზის დროს, მენშევიკების დროს, ქუთაისში ეპისკოპოზის სახლში გადამალულ ეკლესიების სამკაულების საქმე, მონასტრების სიმდიდრის სტატისტ. ცნობები, „წმინდანების" შექმნა, აგრეთვე უჩვენეს ხალხს შორაპნის ეკლესიიდან გამოტანილი „წმინდაგიორგის ნაწილი", გაკეთებული უბრალო სანთლიდან და სხვა ამგვარი მრავალი ფაქტები. ყოველივე ამის შემდეგ გამოვიდა მღვდელი ხარაიძე და ხმამაღლად, ყველას გასაგონად დაადასტურა სულ ყველა ის, რაც ამხანაგებმა განუმარტეს ხალხს, შემდეგ კი მოუბრუნდა ხალხს და უთხრა: ამხანაგებო და ძმებო, ჩვენი დანაშაული თქვენს წინაშე დიდია, ჩვენ ვიცოდით რა სიცრუე იყო რელიგიაში, მაგრამ არ ვამჟღავნებდით ამას ჩვენი სარგებლობისათვის. ჩვენ პირშავი ვართ თქვენს წინაშე; თქვენ იცით, თუ გვაპატიებთ ჩვენს დიდ დანაშაულს" ამ განცხადების შემდეგ. დეკანოზ დევიძემ განაცხადა: „მე სათქმელი არაფერი დამრჩენია." მესამე მღვდელი დევიძე კი გაჩუმებული იყო.

ხალხმა მოითხოვა, რათა თემის ყველა ეკლესიები ყოფილიყო დახურული, მაგრამ ამხ. ქავთარაძემ ამაზე უარი უთხრა, რადგან საზოგადოების სრული კრება არ იყო მოწვეული.

მალე იქნება ისევ ხალხის მიერ მოწვეული საზოგადო სრული კრება, და ეს საკითხი გადაწყდება საბოლოოდ.

დამსწრე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 61

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სასამართლოს საქმეებზე დამცველთა შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

რადგან 1923 წლის სექტემბრის 1-დან მოქმედებას დაიწყებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიის მიერ მიღებული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების შესახებ და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ამიტომ 1922 წლის ნოემბრის 2-ს თარიღით და მე-15 ნომრით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სასამართლოს საქმეებზე დამცველთა შესახებ.

1. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებთან მოეწყობა სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების დამცველთა კოლეგიები.

2. დამცველთა კოლეგიის წევრად შეუძლიან იყოს ის, ვისაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიუღია და აგრეთვე ის, ვისაც აქვს სტაჟი არა ნაკლებ 1 წლის პასუხსაგები პრაქტიკული მუშაობისა საბჭოთა იუსტიციაში (ვინც ყოფილა მოსამართლედ, გამომძიებლად, იუსტიციის სახალხო კომისარიატის განყოფილების გამგედ, კონსულტანტად, იურისკონსულტად, პროკურორად და მის თანაშემწედ).

შენიშვნა: იმ ადგილებში, სადაც არ აღმოჩნდება მე-2 მუხლში ჩამოთვლილი პირთა საკმაო რიცხვი, დამცველთა კოლეგიის წევრად შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი პირიც, რომელიც მეორე მუხლშივე აღნიშნულ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ, რომელიც გამოცდას გაივლის განსაკუთრებულ კომისიაში; კომისია შესდგება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და ოლქის სასამართლოს ერთი მუდმივი წევრისა და დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის ერთი წევრის მონაწილეობით; გამოცდა მოხდება იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული განსაკუთრებული პროგრამით.

3. დამცველთა კოლეგიის წევრად არ შეიძლება იყოს: ა) ის, ვინც სრულწლოვანი არ არის; ბ) ვისაც საარჩევნო უფლება არა აქვს; გ) ვინც გამოძიებასა ან სასამართლოშია მიცემული ისეთი დანაშაულისთვის, რომლის ჩადენისთვისაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა ან სხვა უფრო მძიმე სასჯელი; დ) ვისი უფლებებიც სასამართლოს განაჩენით შეზღუდულია; ე) ვინც მეურვეობის ქვეშ იმყოფება; ვ) ვინც დამცველთა კოლეგიის წევრობიდან არის გამორიცხული; ზ) ვისაც სასამართლოს განაჩენით სასჯელი აქვს გადაწყვეტილი ანგარებისა ან ჩირქის მომცხები ხასიათის დანაშაულისათვის, აგრეთვე ის, ვინც ხსენებულ სადანაშაულო მოქმედებათა გამო სასჯელის მისჯამდე ან მის შემდეგ, ამნისტიის ძალით, განთავისუფლებულ იქნა გამოძიებისა, გასამართლებისა და სასჯელისაგან.

შენიშვნა. იმას, ვინც დამცველთა კოლეგიის წევრობიდან უვადოდ არის გამორიცხული, შეუძლია ხელახლა ჩარიცხვის შესახებ იშუამდგომლოს მხოლოდ სამი წლის შემდეგ.

4. დამცველთა კოლეგიის წევრს არ შეუძლიან თანამდებობის დაჭერა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში. გამონაკლისი შეიძლება:

1) იმისთვის, ვისაც სახელმწიფო თანამდებობა საარჩევნო წესით უჭირავს; 2) იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორებისა და მასწავლებლებისათვის და 3) სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოს იურისკონსულტისათვის დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის წარდგენით და თვითეული შემთხვევისათვის საოლქო სასამართლოს სპეციალური ნებადართვით; ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრულ უნდა იქნეს სათანადო სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მიერ.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნული გამონაკლისი არა ვრცელდება იუსტიციის იმ მომუშავეზე, რომელსაც თანამდებობა საარჩევნო წესით უჭირავს.

5. სასამართლო ოლქის დამცველთა კოლეგიის წევრების საზოგადო კრება თავის წრიდან აირჩევს კოლეგიის პრეზიდიუმს.

6. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს ევალება: ა) განხილვა განცხადებებისა დამცველთა კოლეგიის წევრად შესვლის ან წევრობიდან გასვლის შესახებ; ბ) მეთვალყურეობა და კონტროლი იმისა, თუ რამდენად ასრულებენ დამცველთა კოლეგიის წევრნი თავიანთ მოვალეობას და სადისციპლინო სასჯელთა დადება; გ) დადგენა წესისა, რომლითაც უნდა მოხდეს დანიშვნა უსასყიდლო დაცვისა და სანიხრო დაცვისათვის; დ) მოწყობა კონსულტაციებისა ოლქის სასამართლოს დავალებით მცხოვრებთათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად; ე) კოლეგიის წევრთა საზოგადო კრებების მოწვევა და ამ კრებებისათვის ანგარიშების წარდგენა; ვ) დამცველთა სამაზრო ბიუროებისა და კოლეგიის პრეზიდიუმის სამაზრო რწმუნებულთა მოქმედების მეთვალყურეობა; ზ) გამგებლობა კოლეგიის ქონებისა და თანხებისა; თ) ღონისძიებათა მიღება დამცველთა კოლეგიის გარდაცვლილ, მძიმე ავადმყოფ და მოქმედება — აღკვეთილ წევრთა საქმეების დასაცველად.

7. დამცველთათვის შრომის სასყიდლის მიცემა მოხდება შემდეგ საფუძველზე:

ა) ის, ვინც სახალხო ან ოლქის სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილებით ცნობილ იქნება შეძლების არმქონედ, სისხლის ან სამოქალაქო საქმის წარმოებისათვის განთავისუფლებულ უნდა იქნეს დამცველის ყოველგვარ სასყიდლისაგან, ხოლო უკეთუ სასამართლო გადასწყვეტს ჯილდოს საქმის წარმოებისათვის, ეს ჯილდო დამცველის სასარგებლოდ უნდა გადაიდოს.

ბ) სახელმწიფო და კერძო საწარმოს მუშას და საბჭოთა დაწესებულების და საწარმოს მოსამსახურეს უფლება აქვს დამცველის გასამრჯელო იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნიხრით გადაიხადოს.

გ) ყველა დანარჩენ შემთხვევაში დამცველის გასამრჯელო განისაზღვრება დაინტერესებულ მხარესთან შეთანხმებით; უკეთუ ასეთი შეთანხმება არ იქნება, დამცველს გასამრჯელო ეძლევა ზემოაღნიშნული ნიხრით, ხოლო ორჯერ გადიდებული რაოდენობისა.

8. დამცველს თავის გასამრჯელოდან იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული პროცენტი შეაქვს დამცველთა კოლეგიის ფონდში კოლეგიის პრეზიდიუმის შესანახი და იურიდიული კონსულტაციის მოსაწყობი ხარჯებისათვის.

9. დამცველთა კოლეგიის წევრს გარდა, დაცვა შეუძლიან მხარეთა ბრალდებულისა ან დაზარალებულის—ნათესავს, სახელმწიფო დაწესებულების და საწარმოს რწმუნებამოსილ წარმომადგენელს, აგრეთვე საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის რწმუნებამოსილ წარმომადგენელს. ამას გარდა, ბრალდებულის და დაინტერესებული მხარის თხოვნით და სასამართლოს ნებადართვით, დაცვას ნება შეიძლება მიეცეს სხვა მოქალაქესაც, რომელიც ამა დებულების მე-3 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს.

10. იუსტიციის სახალხო კომისარს დაევალება შეიმუშაოს ახალი დებულება, რომლითაც მოწესრიგებულ უნდა იქნეს დამცველთა კოლეგიის წევრების მოქმედება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.
იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძელი.
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. ხაზაშვილი:
1923 წ. სექტემბრის „ 4 "

დადგენილება № 88

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 11

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: შემოშვებულ იქნეს უბაჟოთ სპარსეთიდან შემოტანილი კანაფი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. დროებით აღმსრულებელი
ნ. ივანიშვილი.
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დროებ. აღმასრულებელი ხ. ლეკიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ოთხშაბათს, 19 სექტემბერს, დილის 10 საათზე ტფილისის კომიტეტის აგიტ-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში გაიმართება

სამანდატო კომისიის თათბირი

მუშათა ფაკულტეტზე დამატებით მიღების და მოსამზადებელ კურსის [illegible] შესახებ.
კომისიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.
სამანდატო კომისიის წევრი მ. ესსენი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის

მე-4 საუბნო კომიტეტი

იუწყება, რომ ოთხშაბათს სექტემბრის 19-ს, საღ. 6 ს. საუბნო კომიტეტის ბინაზე მოხდება

უჯრედების მდივანთა თათბირი

დღის წესრიგი:
უჯრედის წევრთა პოლიტ-ცოდნის შემოწმება.
ყველა მდივნების დასწრება სავალდებულოა.
პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

განცხადებები

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი

აცხადებს ყველა დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოთ, რომ სექტემბრის 15-დან ამიერ-კავკასიის ფოსტისა და ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებში

ხმარებაში შემოდის ამიერ-კავკასიის ერთიანი საფოსტო მარკები

შემდეგი ღირებულებისა: 75,000 მან., 100,000 მან., 150,000 მ., 200,000 მ., 300,000 მ., 350,000 მან., 500,000 მ., და 700,000 მანეთიანი.

ამიერ-კავკასიის მარკებთან ერთად ხმარებაში იქნება აგრეთვე ძველი მარკები, რომლებიც ხმარებაში იყო ამიერ-კავკასიის საფოსტო მარკების გამოცემამდე.

ეს მარკები ძალაში დარჩება 30 სექტემბრამდე.

1923 წ. ოქტომ. 1-დან, ყველა წინად გამოცემული საფოსტო მარკები (მათ შორის საქართველოსი, აზერბეიჯანისა და სომხეთისა) **გაბათილებულად ჩაითვლება** და ასეთი მარკიანი წერილებს დამატებითი ღირებულება გადახდებათ.

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილე გეგეჭკორი.
საფინანსო-საეკონომიო განყ. უფროსი იონესიანი.

2—2

სააქციონერო საზოგადოების „ზაკუტილსირიოს"

გამგეობა ამით აცხადებს, რომ ა. წ. 25 სექტემბერს, დღის 12 საათზე დანიშნულია

წერილობითი საჯარო ვაჭრობა

ცხვრის ნაწლავების (ნედლი დამარილებულის)

400.000 მორგვის წელიწადში, ყოველ თვიურად პარტიობით 25—35 ათასი ცალის მისაწოდებლად.

ჩაბარება ფრანკო—ბაქო და ტფილისი.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში, არა უგვიანეს 25 სექტემბრის დღის 12 საათისა უნდა გამოგზავნონ წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტებში „ზაკუტილსირიოს" სააქციონერო საზოგადოების გამგეობის სახელზე ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. 5 შემდეგი ზედწარწერით: „ცხვრის ნაწლავების 400.000 მორგის მისაწოდებლად დანიშნულ საჯარო ვაჭრობისათვის". განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს:

1. ქვითარი ხაზინაში მისაწოდებელ ნაწლავების ღირებულების 5 პროც. გირაოს შეტანის შესახებ; გირაო უძრავი ქონების სახით არ მიიღება.
2. ხელწერილი იმის შესახებ, რომ მიწოდების დამტკიცების და მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეტანილი გირაო რჩება სააქციონერო საზოგადოების სალაროში.
3. პირადობის მოწმობა საჯარო ვაჭრობაში მონაწილისა.

იმ პირის გირაო, რომლის წინადადება მიღებული იქნება, რჩება დეპოზიტში და ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს მას დაემატება მთელი მისაწოდებელ ნაწლავების ღირებულების 10 პროც.

განცხადების შემომტანს უნდა ჰქონდეს გადახდილი დაწესებული საღერბო გადასახადი.

ფასები უნდა იქნას აღნიშნული ჩერვონცებში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დღის 2 საათამდე, ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქ. № 5. ბაქოში—სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ამიერ-კავკასიის განყოფილებაში, ბარიატინის ქუჩაზე. 603 3—3

ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილება

აცხადებს

შეჯიბრებას

ტფილისის მილიციის საჭიროებისათვის მოიჯარადრის მასალიდან

915 ქუდის და 35 „პაპახის"

დამზადებაზე. ქუდები უნდა დამზადდეს ინგლისურ მაუდიდან, ხოლო „პაპახები"—კი შავი ფერის იმ ნიმუშის მიხედვით, რომელიც იმყოფება სამმართველოს განყოფილებაში.

შეჯიბრება დანიშნულია ა. წ. 20 სექტემბერს 12 საათზე სამმართველოს განყოფილების შენობაში (ლ. დუმბაძის ქ. №-7) ოთახი №-8.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა შემოიტანონ განცხადებები დალუქული პაკეტებით, რომელსაც უნდა დაურთონ ცნობა მათ მიერ განყოფილების სალაროში ასი მილიონი მანეთის შეტანის შესახებ.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ განყოფილების სამნეო ნაწილის უფროსს.

განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი თაქთაქიშვილი.
ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი ახვლედიანი. 620 3—1.

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

[illegible]

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

[illegible] შინაგან ავადმყოფთათვის [illegible]

[illegible] **ექ. სვიმონ ყიფშიძის** [illegible]

[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. 601 20—20

ქ. ტფილისის I უბნის სახალხო სასამართლო

ამით აცხადებს, რომ 1922 წ. მაისის 10-ს მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის სოლომონ ლევანის ძე ნანობაშვილის ანდერძის წერილი, შედგენილი ქ. სიღნაღის ნოტარ. ჯაფარიძეს მიერ 28 დეკემბერს 1917 წ. შეტანილ მის ნოტარ. ჯაფარიძის 1917 წ. აქტის წიგნის გვერდი № 40 № 69.

სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა). 1—1.

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გაცემული მე-10-ე სამილიციო უბნის სამმართველოდან, სარეგისტრაციო ბარათი, გაცემული ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატიდან ბარდოხაი იოსების ძე ცრუცუნაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1216 1—1.

დაიკარგა ცენტრალურ სატრანსპორტო განყოფილების საწევრო წიგნაკი № 1010 გიორგი დანდუროვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1215 1—1.